



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი

საქართველო

საპარლამენტო არჩევნები
2008 წლის 21 მაისი

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის
უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის
დასკვნითი ანგარიში



ვარშავა
2008 წლის 9 სექტემბერი

სარჩევი

I.	მოკლე შინაარსი.....	4
II.	შესავალი და სამადლობელი სიტყვა	9
III.	პოლიტიკური ფონი	10
IV.	საკანონმდებლო ბაზა და საარჩევნო სისტემა	11
V.	საარჩევნო ადმინისტრაცია	13
ა.	ცენტრალური საარჩევნო კომისია	13
ბ.	საოლქო საარჩევნო კომისიები	15
გ.	საუბნო საარჩევნო კომისიები	16
VI.	ამომრჩეველთა რეგისტრაცია	17
VII.	კანდიდატთა რეგისტრაცია	19
VIII.	საარჩევნო კამპანია	21
IX.	მედია	27
ა.	ზოგადი ფონი	27
ბ.	მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა	28
გ.	ურთიერთგაგების მემორანდუმი	29
დ.	OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგი	30
X.	ქალთა მონაწილეობა	32
XI.	ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა	33
XII.	ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები	34
XIII.	არჩევნების დღემდე შესული საჩივრები და განცხადებები	35
XIV.	ხმის მიცემა და ხმების დათვლა	40
ა.	უბნის გახსნა და ხმის მიცემის პროცედურები	41
ბ.	ხმების დათვლის პროცედურები	43
XV.	ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება	45
XVI.	არჩევნების დღესთან დაკავშირებული საჩივრები და განცხადებები	48
XVII.	რეკომენდაციები	51
ა.	სამართლებრივი ბაზა	51
ბ.	საარჩევნო ადმინისტრაცია	52
გ.	ამომრჩეველთა რეგისტრაცია	53
დ.	საარჩევნო კამპანია	53
ე.	მედია	54
ვ.	ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შეჯამება, შედეგების გამოცხადება	55
ზ.	საჩივრები და განცხადებები	56
თ.	ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა	58

I. ადგილობრივი დამკვირვებლები	59
დანართი: არჩევნების შედეგები	60
ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის შესახებ	62

საქართველო
საპარლამენტო არჩევნები
2008 წლის 21 მაისი

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დასკვნითი ანგარიში

I. მოკლე შინაარსი

2008 წლის 10 აპრილს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად 14 ექსპერტისა და 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შემდგარი არჩევნების სადამკვირვებლო მისია მოავლინა. მისიას არჩევნებამდე კიდევ 360 მოკლევადიანი დამკვირვებელი დაემატა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა საარჩევნო პროცესების შესაბამისობა ეუთო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან, სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივ კანონმდებლობასთან. არჩევნების დღეს OSCE/ODIHR-ი მონიტორინგს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან, ევროპარლამენტთან და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან ერთად აწარმოებდა, რაც ერთად არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას ქმნიდა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 48 წევრი ქვეყნის მიერ მოვლენილი 550 მოკლევადიანი დამკვირვებლისგან შედგებოდა.

თავის მოხსენებაში წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა, რომ „ზოგადად, ამ არჩევნებმა საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად მისცა საშუალება თავისი წარმომადგენლები მრავალ კანდიდატს შორის აერჩია. ხელისუფლებამ და სხვა დაინტერესებულმა პოლიტიკურმა მხარეებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა ეს არჩევნები ეუთო-სა და ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ჩატარებულიყო“. თუმცა, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ „დააფიქსირა მრავალი პრობლემა, რამაც ამის განხორციელება არათანაბარი და არასრულყოფილი გახადა“.

ბოლო ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში არჩევნებამდე ორი თვით ადრე შევიდა, რის შედეგადაც საარჩევნო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა და მოიცვა საარჩევნო ადმინისტრაცია, საარჩევნო ნორმები და საჩივრებისა და განცხადებების პროცედურები. აღნიშნულ ცვლილებებში გათვალისწინებული იქნა OSCE/ODIHR-ის ბევრი რეკომენდაცია, თუმცა სხვა დანარჩენი არ ყოფილა მხედველობაში მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, იგი შეიცავს დებულებებს, რომლებმაც არათანაბარი პირობები შექმნეს მმართველი პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. ეს განსაკუთრებით ადმინისტრაციულ რესურსებსა და „პოლიტიკური თანამდებობის პირების“ მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოებას შეეხება. საარჩევნო კოდექსში არსებულმა შეუსაბამობებმა, ხარვეზებმა და ორაზროვნებამ მის ეფექტურ განხორციელებას ხელი შეუშალა.

საქართველოს პარლამენტი შერეული სისტემის საფუძველზე, ოთხი წლის ვადით ირჩევა. პარლამენტის 75 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 75 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. საარჩევნო კოდექსი არ მოითხოვს, რომ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები ზომით თანაბარი ან თანაზომადი იყოს. თითოეულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა 6,000-დან 140,000-მდე მერყეობდა. ასეთი მკვეთრი სხვაობა არ შეესაბამება ხმების თანასწორობის პრინციპს.

არჩევნების ადმინისტრირება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა, რომელშიც შედიოდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და დაახლოებით 3,500 საუბნო საარჩევნო კომისია. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილების შედეგად პარტიული წარმომადგენლობა საოლქო საარჩევნო კომისიებზეც გავრცელდა, სპეციალურად ამ არჩევნებისთვის, რის შედეგადაც მათი შემადგენლობა შესაბამისობაში მოვიდა. ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომიების შემადგენლობასთან. “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე დე ფაქტო უმრავლესობა ეკავა.

ცესკო ხშირად მართავდა შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიის წარმომადგენლებისა და მედიისთვის. ზოგადად მისი მუშაობა გამჭვირვალე იყო. ცესკო აქტიურად ემზადებოდა ტექნიკური კუთხითაც: შეიმუშავა ინსტრუქციები საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის, ჩაატარა ტრენინგები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის და განახორციელა ამომრჩეველთა განათლების ფართომასშტაბიანი კამპანია. თუმცა, ცესკო არ მოქმედებდა როგორც კოლეგიალური ორგანო. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ცესკო-ს წევრები სადავო საკითხებთან მიმართებაში დამოუკიდებლად ვერ მოქმედებდნენ და გადაწყვეტილებებზე ხმას პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე აძლევდნენ. ოლქის დონეზე საოლქო საარჩევნო კომისიები მართავდნენ შეხვედრებს, რომლებზეც დასწრება ზოგადად თავისუფალი იყო, მაგრამ ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიმჩნეოდა გამჭვირვალობის ნაკლებობა. საოლქო საარჩევნო კომისიები ყოველთვის არ მოქმედებდნენ, როგორც კოლეგიალური ორგანო, ზოგჯერ ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრები გამოთიშული იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისის საქმიანობებიდან. უბნის დონეზე ოპოზიციური პარტიები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პოზიციებზე. პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიცვალა, რაც მიღებული ინფორმაციით ზოგიერთ შემთხვევაში დაშინებით იყო გამოწვეული.

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებების შედეგად, გაუქმდა არჩევნების დღეს რეგისტრაცია და ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმებისთვის განსაზღვრული პერიოდი თორმეტიდან ცხრამეტ დღემდე გაიზარდა. ბევრი დაინტერესებული მხარე კვლავ გამოხატავდა შეშფოთებას ამომრჩეველთა სიეში არსებულ უზუსტობებთან დაკავშირებით და აცხადებდა, რომ ისინი გაბერილი იყო. ზოგიერთ ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,456,936 შეადგენდა, რაც ასევე მოიცავდა ქვეყნის შიგნით მიგრირებულ, ან კიდევ ემიგრაციაში წასულ მრავალ ადამიანს.

ზოგადად კანდიდატთა რეგისტრაცია ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე იყო. ცესკო-მ ცხრა პარტია და სამი საარჩევნო ბლოკი დაარეგისტრირა. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად შემცირდა არასაპარლამენტო პარტიის მიერ წარსადგენ ხელმოწერათა რაოდენობა. კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი ცესკო-ში მომხდარმა მოვლენებმა დაჩრდილა. მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ (რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი უნდა ყოფილიყო) საკუთარი კანდიდატურა ბოლო წუთს მოხსნა, ცესკო-ს ოპოზიციურმა წევრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის ნახვა მოითხოვეს იმის გასარკვევად, შეცვალა თუ არა პარტიამ თავისი სია კანონის მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა სიის გადაცემის პროცესი სერიოზულად შეყოვნდა.

საარჩევნო კამპანია მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ყველა პარტიას ჰქონდა საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება, ვრცელდებოდა დადასტურებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციური პარტიების საარჩევნო კამპანიას ხელი ეშლებოდა. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის საარჩევნო კამპანია უარყოფითი ტონით გამოირჩეოდა და აქცენტს სახელმწიფო მოხელეებისა და საარჩევნო ადმინისტრაციისადმი უნდობლობაზე, შესაძლო დარღვევებსა და ხელისუფლების მიერ არჩევნების მანიპულაციის გეგმებზე აკეთებდა. აღნიშნულ უნდობლობას თან დაერთო ბევრ რეგიონში ოპოზიციური კანდიდატების, პარტიის წარმომადგენლებისა და სახელმწიფო მოხელეების დაშინების ხშირი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. იმ მრავალ კონკრეტულ განცხადებათაგან, რომლებიც OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შეამოწმა, რამოდენიმე დადასტურებულ იქნა.. მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მხარდამჭერებზე, განსაკუთრებით კი, მასწავლებლებზე განხორციელებული ზეწოლის რამოდენიმე შემთხვევა, რომლის მიზანს, მათ მიერ კამპანიის წარმოებაზე უარის თქმა წარმოადგენდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთმა წარმომადგენელმა კანდიდატურა მოხსნა მას შემდეგ, რაც „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ წარმოადგინა აუდიოჩანაწერი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს სახელმწიფო მოხელეების დაშინებაში ამხელდა. მათ თანამდებობიდან დათხოვნა ემუქრებოდათ, თუ ისინი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ დიდი მხარდაჭერის მოპოვების უზრუნველყოფას ვერ შეძლებდნენ. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამაზე მკვეთრი რეაგირება მოახდინა და უკანონო ქმედებების ჩადენისგან თავის შეკავების თაობაზე მოწოდება გააკეთა.

განსხვავება სახელმწიფოსა და პარტიას შორის ხშირად ბუნდოვანი იყო. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო თანამდებობის პირები ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო ღონისძიებების პარალელურად, ან კიდევ ერთმანეთს

ერწყმოდა სამთავრობო სოციალური პროგრამები და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ღონისძიებები. ოპოზიციური პარტიები ასევე აცხადებდნენ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო ადმინისტრაციული რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და რომ კანონის საწინააღმდეგოდ გუბერნატორები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართულნი.

მედია ზოგადად აზრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რამაც ამომრჩევლებს უფრო ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება მისცა. თუმცა, პლურალისტული მედიაგარემოს მიუხედავად, ბევრი საშუალება კვლავ მათი მფლობელებისა და პოლიტიკური პატრონების გავლენის ქვეშ იმყოფება. ძირითადი ტელეარხები კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების გარკვეული ზემოქმედების ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს ინიციატივით, „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და ყველა საარჩევნო სუბიექტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა, რაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქებას ითვალისწინებდა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამომრჩევლებს პარტიებისა და კანდიდატების შედარების კარგი საშუალება მისცა. თუმცა, OSCE/ODIHR-ის მიერ ჩატარებულმა მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ ახალი ამბების გამოშვებებში საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას არ იყო დაცული ბალანსი როგორც დროის გამოყოფის, ისე გაშუქების ტონალობის თვალსაზრისით იმ ტელეკომპანიათა უმეტესობაში, რომელთა მონიტორინგსაც არჩევნების სადამკვირვებლო მისია ახორციელებდა. ამ მხრივ გამონაკლისს „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ წარმოადგენდა.

იმ ხუთ პარტიასა და ბლოკს, რომლებმაც მანდატები ახალი მოწვევის პარლამენტში მოიპოვეს, თვიანთ პროპორციულ საარჩევნო სიებში 21 პროცენტი ქალი ჰყავდათ, თუმცა ცოტა მათგანი თუ იყო სიის სათავეებთან ახლოს. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში საარჩევნო სუბიექტებს შორის 12 პროცენტი ქალი იყო. ცესკო-ს 13 წევრიდან მხოლოდ ერთი იყო ქალი, თუმცა ქალები უკეთ იყვნენ წარმოდგენილნი საოლქო საარჩევნო კომისიებში და საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობაში.

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 16 პროცენტი ეროვნულ უმცირესობას შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიებისა და ბლოკების უმეტესობამ კანდიდატად ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი წარადგინა, არჩეულ იქნა ეროვნული უმცირესობის მხოლოდ 6 წარმომადგენელი, ყველა მათგანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. საარჩევნო მასალები, ასევე ბიულეტენები, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, ხელმისაწვდომი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებში უმცირესობების ენებზე. თუმცა, ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმების პერიოდში გამოკრული სიები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი, რომლის წაკითხვაც ეროვნული უმცირესობის ბევრ წარმომადგენელს არ შეუძლია.

საარჩევნო კოდექსის დებულებები ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებლების თაობაზე მეტწილად შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო დამკვირვებლების თაობაზე არსებულ დებულებებთან. ცესკო-მ დამკვირვებლები 37 ადგილობრივი და 43 საერთაშორისო ორგანიზაციიდან, ასევე 16 საელჩოდან დაარეგისტრირა. არჩევნების

დღეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების დაშინებისა და მათზე ზეწოლის, ასევე საარჩევნო უბნებიდან და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მათი გამოძევების მრავალი ფაქტი დააფიქსირეს.

მიუხედავად იმისა, რომ საჩივრებისა და განცხადებების პროცედურები ბოლო დროს გამარტივდა და გარკვეულწილად გასაგები გახდა, ისინი კვლავ ზედმეტად რთული, წინააღმდეგობრივი და ორაზროვანია. საჩივრისა და განცხადების შეტანისა და განხილვის ვადა შემცირდა, რაც ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს საქმის ჯეროვან განხილვას. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლოები უმეტესწილად სათანადოდ არ განიხილავდნენ საჩივრებსა და განცხადებებს და ამკარა მიკერძოებას ამჟღავნებდნენ მმართველი პარტიისა და საჯარო მოხელეების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი უარს აცხადებდნენ მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე ან დოკუმენტირებული მტკიცებულების ნახვაზე, ვერ ახერხებდნენ ყველა სათანადო ფაქტის განხილვას, მიმართავდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას, უგულებელყოფდნენ კანონის არსს, ან ვერ იძლეოდნენ სრულყოფილ და მკაფიო ფაქტობრივ და სამართლებრივ არგუმენტაციას.

კენჭისყრის დღემ ზოგადად მშვიდ გარემოში ჩაიარა. ცესკო-ს მონაცემების მიხედვით ამომრჩეველთა აქტივობა 53 პროცენტს შეადგენდა. ზოგადად, ხმის მიცემის პროცესი არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების უმრავლესობის მიერ დადებითად შეფასდა. აღნიშნა ორგანიზაციული და პროცედურული დარღვევები განსაკუთრებით კი, მარკირების პროცედურასთან მიმართებაში, რომელიც მრავალჯერადი ხმის მიცემისგან თავის დაცვის მექანიზმია. ზოგიერთ რეგიონში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმის მიცემის გარემო შეაფასეს როგორც დამაბული და პრობლემური. ასევე დაფიქსირდა მცირე რაოდენობით სერიოზული დარღვევები, როგორცაა ბიულეტენების ჩაყრა. ბევრი სერიოზული ხარვეზი დაფიქსირდა ხმების დათვლისას, ასევე არ იყო დაცული შედარების პროცედურებიც. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა სიის, არჩევნების შედეგებისა და ოქმების შეცვლის შემთხვევებს. ბევრ საუბნო საარჩევნო კომისიას ჰქონდა პრობლემა შემაჯამებელი ოქმის შევსებასთან დაკავშირებით, რომლებიც თვალსაჩინო ადგილას ხშირად არ გამოიკრა.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა შეჯამების პროცესი საოლქო საარჩევნო კომისიებში უარყოფითად შეაფასეს, განსაკუთრებით კი, გამჭვირვალობის თვალსაზრისით რამდენიმე რეგიონში. ბევრმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მუშაობა 22 მაისს დილით შეწყვიტა, მანამდე, ვიდრე მოხდებოდა ყველა ოქმის მიღება და დამუშავება. დრო, თუ როდის განაახლებდნენ კომისიები მუშაობას ყოველთვის არ ცხადდებოდა გამჭვირვალედ. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმთა ანალიზმა პრობლემები თითქმის ყველა უბანზე გამოავლინა. ცესკო-მ არჩევნების შედეგები და ოქმები ვებ-გვერდზე სწრაფად განათავსა.

არჩევნების დღესთან დაკავშირებით სულ დაახლოებით 1,400 საჩივარი და განცხადება შევიდა, რომლებშიც აღნიშნული იყო ხმის მიცემასთან, ხმების დათვლასთან და

შედეგების შეჯამებათან დაკავშირებული მთელი რიგი დარღვევები, ასევე სერიოზული დარღვევები, რომელთა საფუძველზე მოთხოვნილი იყო შედეგების შემაჯამებელი ასობით ოქმის ბათილად გამოცხადება. ადგილი ჰქონდა მასშტაბურ და მნიშვნელოვან დარღვევებს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ აღნიშნული საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. სერიოზული დარღვევების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიამ და სასამართლოებმა 38 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები გააბათილა. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების თაობაზე შესული საჩივრების განხილვისას ცესკო და სასამართლოები არამართებულად ამბობდნენ უარს, განეხილათ საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ბათილობის საკითხი. ბევრი გადაწყვეტილება და განჩინება შეიცავდა სამხილის არასწორ შეფასებას და მოკლებული იყო გონივრულ და საფუძვლიან ფაქტობრივ და სამართლებრივ მსჯელობას.

OSCE/ODIHR-მა შეამოწმა არჩევნების შემდეგ რამდენიმე ოპოზიური პარტიის აქტივისტის ცემის მრავალი ფაქტი. არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევის მუხლით ბევრ მათგანზე საქმე აღიძრა. სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიდაც ეს თავდასხმები დაგმო.

OSCE/ODIHR-ი გამოთქვამს მზადყოფნას მხარში ამოუდგეს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, დაძლიოს მოცემულ და წინა ანგარიშებში აღნიშნული გამოწვევები და საარჩევნო პროცესი ეუთოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს დაუახლოოს.

II. შესავალი და სამადლობელი სიტყვა

2008 წლის 10 აპრილს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად არჩევნების სადამკვირვებლო მისია მოავლინა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა ელჩი ბორის ფრლეცი. მისია ეუთოს წევრი 24 ქვეყნის 14 ექსპერტისა და 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგებოდა. დამკვირვებლები თბილისსა და ათ რეგიონალურ ცენტრში იყვნენ განთავსებული. არჩევნებამდე მისიას კიდევ 360 მოკლევადიანი დამკვირვებელი დაემატა.

არჩევნების დღეს OSCE/ODIHR-ი მონიტორინგს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტისა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო მისიებთან ერთად აწარმოებდა, რაც ერთად არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას ქმნიდა. ბატონი ჟოა სოარესი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელი ეუთო-ს თავმჯდომარის მიერ ეუთოს მოკლევადიანი დამკვირვებლების სპეციალურ კოორდინატორად დაინიშნა. ბატონი მატიაშ იორში ხელმძღვანელობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას; ქალბატონი მარი ანე ისლერ ბეგუინი - ევროპარლამენტის დელეგაციას.

ბატონი ბრიუს ჯორჯი კი, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეას.

არჩევნების დღეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ეუთო-ს წევრი 48 ქვეყნის მიერ მოვლენილი 550 დამკვირვებლისგან შედგებოდა, რომლებიც დააკვირდნენ 160 საარჩევნო უბნის გახსნას, 3,630 საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 1,700 უბანზე ხმის მიცემას და 150 საარჩევნო უბანზე ხმების დათვლას. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ასევე დააკვირდა საარჩევნო მასალების გადაცემას და შედეგების შეჯამებას 76 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 73 კომისიაში.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ საარჩევნო პროცესის შესაბამისობა ეუთო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე ადგილობრივ კანონმდებლობასთან მიმართებაში შეაფასა. დასკვნითი ანგარიში მოსდევს წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ მოხსენებას, რომელიც 2008 წლის 22 მაისის პრესკონფერენციაზე გამოქვეყნდა და რომელიც ხელმისაწვდომია OSCE/ODIHR-ის ვებ-გვერდზე (www.osce.org/odihr).

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია მადლობას უხდის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას თანამშრომლობისთვის. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას ასევე სურს მადლობა გადაუხადოს ეუთო-ს მისიას საქართველოში და ეუთო-ს წევრი ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს მისიის მუშაობის განმავლობაში გაწეული დახმარებისთვის.

III. პოლიტიკური ფონი

2008 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის 21 მაისისთვის დანიშნა. საპარლამენტო არჩევნები, რომელიც თავდაპირველად წლის ბოლოს უნდა ჩატარებულიყო, 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლემბისციტის შედეგად, ვადაზე ადრე დაინიშნა. მიხეილ სააკაშვილი პლემბისციტის ჩატარების ინიციატივით ოპოზიციის მიერ გამართული 2007 წლის ნოემბრის დემონსტრაციების შემდეგ გამოვიდა.

მკვეთრად პოლარიზებული იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იყო ხანმოკლე პერიოდი, როდესაც შეინიშნებოდა პროგრესი მმართველ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დიალოგის თვალსაზრისით. ძირითადად ოპოზიციურმა ბლოკმა იანვრის ბოლოს 17 მოთხოვნა წამოაყენა, რის პასუხადაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი წინადადებები წამოაყენა. შეინიშნებოდა პროგრესი ახალი საარჩევნო სისტემის თაობაზე განხილვებთან დაკავშირებით, რომლის რეფორმაც ოპოზიციის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა. თუმცა, მარტში პოლიტიკური გარემო კვლავ გაუარესდა, რადგან ოპოზიციის წევრებმა 17 დღიანი შიმშილობის აქცია თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოაწყვეს. აქცია 25 მარტს დასრულდა ისე, რომ ამ მოთხოვნათა უმეტესობა არ შესრულებულა. მარტში პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში,

საარჩევნო სისტემაში სადავო ცვლილებების ჩათვლით, რომელიც უგულვებელყოფდა ოპოზიციის მთავარ შეშფოთების საგანს. ამ ცვლილებების შეტანისას ხელისუფლებამ საარჩევნო სისტემის საკითხთან მიმართებაში უარი თქვა ოპოზიციასთან კონსენსუსის ძიებაზე.

პოლიტიკური ლანდშაპტი 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხშირად იცვლებოდა. თუმცა, ქართული პოლიტიკისთვის ჩვეულ დამახასიათებელ ნიშნად იქცა ის გარემოება, რომ დომინანტურ მმართველ პარტიას უპირისპირდება დანაწევრებული ოპოზიცია. 2007 წლის ნოემბრის დემონსტრაციებისას დიდი „გაერთიანებული ოპოზიციური“ ბლოკის შექმნამ შედეგად ის განაპირობა, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო და 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები იყო ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი არჩევნები, რაც კი დღემდე საქართველოში ჩატარებულა. თუმცა, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიცია კვლავ დანაწევრებული იყო, განსაკუთრებით კი, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში.

IV. საკანონმდებლო ბაზა და საარჩევნო სისტემა

არჩევნების საკანონმდებლო ბაზა შედგება კონსტიტუციისგან (1995), საქართველოს ორგანული ორგანული კანონი - საქართველოს საარჩევნო კოდექსისგან (2001 წელი, რომელშიდან ცვლილებები მას შემდეგ მრავალჯერ შევიდა) სხვა საკანონმდებლო აქტებისგან, ასევე სისხლის სამართლის კოდექსისგან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებისგან.

არჩევნებამდე ორი თვით ადრე, 2008 წლის 11 და 12 მარტს, კონსტიტუციაში საპარლამენტო საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ამასთანავე, 21 მარტს ცვლილებები შევიდა საარჩევნო კოდექსში, რაც შეეხო საარჩევნო სისტემას, საარჩევნო ადმინისტრაციას, საარჩევნო კამპანიის წარმოების ნორმებს და საჩივრებისა და განცხადებების პროცედურებს¹. ამ ცვლილებებში გათვალისწინებულია OSCE/ODIHR-ის ბევრი რეკომენდაცია, თუმცა, სხვა რეკომენდაციები გაუთვალისწინებელი დარჩა. ოპოზიციურმა პარტიებმა, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა გამოხატეს უკმაყოფილება ცვლილებების განხორციელებისას კონსულტაციების არაადეკვატურ დონესთან ასევე გამჭვირვალობის ნაკლებობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, იგი შეიცავს მთელ რიგ ახალ დებულებებს, რომლებიც ლიბერალურს ხდიან საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, რაც მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ არათანაბარ პირობებს ქმნის. კერძოდ, 76-ე მუხლი ახლა უკვე კამპანიის მიზნებისთვის

¹ არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში საარჩევნო სისტემის არსებითი ცვლილება (საარჩევნო კანონში OSCE/ODIHR-ის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური ცვლილებების საწინააღმდეგოდ) არ შეესაბამება ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) საარჩევნო სფეროში მართებული პრაქტიკის კოდექსს, პუნქტი 65.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უფლებას იძლევა². 76¹-ე მუხლი კი, პოლიტიკური თანამდებობის პირებს³ ნებას რთავს, ერთმანეთში აურიონ საარჩევნო ღონისძიებები და სამსახურებრივი მოვალეობები. ეს დებულებები ეწინააღმდეგება ეუთო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.⁴ აღნიშნული ცვლილებები უმრავლესობამ ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვის გარეშე მიიღო. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსში კვლავ არსებულმა ხარვეზებმა, შეუსაბამობებმა და ორაზროვნებამ, გაურკვევლობა და დაინტერესებული მხარეების მიერ მათი მრავალგვარად ინტერპრეტაცია განაპირობა, რამაც თავისთავად კანონის ეფექტურ შესრულებას ხელი შეუშალა.

ახალი პარლამენტი 150 წევრისგან არის დაკომპლექტებული, რომლებიც ოთხი წლის ვადით აირჩევიან. 2008 წლის ცვლილებების შედეგად, 75 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 75 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში⁵. საარჩევნო სისტემა შეიცვალა ისე, რომ არ ყოფილა მიღწეული კონსენსუსი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის⁶. პარტიებისა და ბლოკების მიერ პროპორციულ არჩევნებში მანდატების მისაღებად დაწესებული საარჩევნო ბარიერი 7-დან 5 პროცენტამდე დაიწია. მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა უმეტესობას, მაგრამ არანაკლებ მიცემულ ხმათა 30 პროცენტისა. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, ორი კვირის ვადაში ჩატარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ხმათა უმეტესობა მიიღეს.

² ეს დებულება იძლევა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შენობების, საკომუნიკაციო საშუალებებისა და ავტომობილების გამოყენების ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანაბარად იქნება ხელმისაწვდომი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის. ეს პრაქტიკაში არ ხორციელდება, რის გამოც იგი არსებითად მმართველი პარტიის პრივილეგიას წარმოადგენს.

³ საარჩევნო კოდექსის თანახმად, პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან: პრეზიდენტი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, პარლამენტის წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები. მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ მხარეებს შორის ადგილი აქვს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ სხვა რომელი საჯარო თანამდებობის პირი სამართლებრივად ითვლება პოლიტიკური თანამდებობის პირად.

⁴ ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის პუნქტი 5.4 და 7.6; პირველი პუნქტი სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიების ნათლად გამიჯვნას მოითხოვს. მეორე პუნქტი კი, ავალდებულებს სახელმწიფოს „უზრუნველყოს საჭირო სამართლებრივი გარანტიები იმისათვის, რომ საშუალება მიეცეთ [პოლიტიკურ პარტიებს] ერთმანეთს კანონის წინაშე და ხელისუფლების მიერ თანაბარი მოპყრობის საფუძველზე შეეჯიბრონ.“

⁵ 2003-2004 წლების არჩევნებისას გამოყენებული სისტემის მიხედვით 150 წევრი პროპორციული სისტემის საფუძველზე აირჩეოდა, 75 წევრი კი, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. მოგვიანებით, 2004 წელს ცვლილებები შევიდა კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში, რომლის მიხედვითაც უნდა არჩეულიყო 150 დეპუტატი: 100 პროპორციული სისტემის საფუძველზე, 50 კი, მრავალმანდატიანი მაჟორიტარული სისტემით.

⁶ ოპოზიციის ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, ოპოზიციური პარტიები ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს, რაც მათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მიაჩნდათ, და რეგიონალურ პროპორციულ საარჩევნო ოლქებს ემხრობოდნენ.

საარჩევნო კოდექსი არ მოითხოვს, რომ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები მასშტაბით იყოს თანაბარი ან თანაჯერადი. 21 მაისის არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ საარჩევნო ოლქში, რომელიც როგორც წესი, ადმინისტრაციულ ოლქებს ემთხვევა, 6,000-დან 140,000-მდე მერყეობდა. ამომრჩეველთა რაოდენობის ამგვარი სხვაობა არღვევს საარჩევნო უფლებების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს - ხმების თანასწორობის პრინციპს⁷. კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანისას პარლამენტს ამ შეუსაბამობის აღმოფხვრა არ უცდია.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

საპარლამენტო არჩევნების ადმინისტრირება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა, რომელშიც შედიოდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,558 საუბნო საარჩევნო კომისია. გარდა ამისა, გაიხსნა 72 სპეციალური საარჩევნო უბანი სამხედრო ბაზებში, საავადმყოფოებში, წინასწარი დაკავების ადგილებსა და ციხეებში (ციხის თანამშრომლებისთვის)⁸. საზღვარგარეთ ხმის მისაცემად ასევე გაიხსნა ოლქი, რომლის ადმინისტრირებას უშუალოდ ცესკო ახორციელებდა. 47 საარჩევნო უბანი გაიხსნა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ. ბოლოს, ასევე შეიქმნა ორი სპეციალური უბანი ერაყში მომსახურე საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის⁹. ცესკო-ში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს ყველა საარჩევნო კომისიაში ორი წარმომადგენლის დანიშვნის უფლება ჰქონდათ. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე დე ფაქტო უმრავლესობა ეკავა.

ა. ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცესკო არის მუდმომოქმედი ორგანო, რომელიც ხუთი წლის ვადით ინიშნება. იგი თავმჯდომარისა და 12 წევრისგან შედგება. თავმჯდომარესა და ხუთ წევრს წარადგენს პრეზიდენტი და ირჩევს პარლამენტი, დანარჩენ შვიდ წევრს კი, ნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიები¹⁰. ცესკო არ მოქმედებდა

⁷ ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.3 პუნქტი ავალდებულებს ეუთო-ს წევრ ქვეყნებს „უზრუნველყონ საყოველთაო და თანაბარი ხმის მიცემის უფლება მოზარდებისთვის“. ვენეციის კომისიის მართებული პრაქტიკის კოდექსის პუნქტი 2.2 იძლევა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ „ნორმიდან დასაშვები გადახრა არ უნდა იყოს 10%-ზე მეტი, და რა თქმა უნდა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა“.

⁸ საქართველოს კონსტიტუციისა (მუხლი 28.2) და საარჩევნო კოდექსის (მუხლი 5) თანახმად, იმ პირებს, რომლებიც ციხეში სასჯელს იხდიან, არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, ხოლო ისინი, ვინც წინასწარი დაკავების ცენტრებში ელოდება სასამართლო პროცესს ან განაჩენს, ამ უფლებით სარგებლობენ.

⁹ საზღვარგარეთ მყოფმა ამომრჩეველებმა და სამხედრო პირებმა ერაყში არჩევნების მხოლოდ პროპორციულ კომპონენტში მიიღეს მონაწილეობა.

¹⁰ არიან პარტიები, რომლებმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში ხმათა სულ ცოტა 4% მიიღეს. 2003-2004 საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით ეს პარტიები არიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ახალი მემარჯვენეები“, „მრეწველები“, „ლეიბორისტები“, „თავისუფლება“, „რესპუბლიკელები“ და „კონსერვატიული პარტია“.

როგორც კოლეგიალური ორგანო. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ცესკო-ს წევრები ვერ ახერხებდნენ სადავო საკითხებთან მიმართებაში დამოუკიდებლად მოქმედებას. ბევრ გადაწყვეტილებაზე ხმის მიცემა პარტიული ინტერესებიდან და არა კანონიდან გამომდინარე ხდებოდა. მაგალითად, ცესკო-ს თავმჯდომარემ გენერალურ პროკურორს წერილობით აცნობა განკარგულების¹¹ ვერმიღების თაობაზე და წერილს თან დაურთო ცესკო-ს თითოეული წევრის მიერ ხმის მიცემის ოქმი¹². სხვა მსგავსი შემთხვევა შეეხებოდა ვიდეოთვალის დამონტაჟებას და იმ საარჩევნო უბნებს, სადაც კამერები უნდა დამონტაჟებულიყო. ცესკო-ს, როგორც ორგანოს, ეს საკითხი არ გადაუწყვეტია. სამაგიეროდ, ეს საკითხები ერთპიროვნულად, კომისიის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყდა¹³.

ცესკო ხშირად აწყობდა შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და მედიისთვის. ცესკო, ზოგადად, გამჭვირვალედ მოქმედებდა. თუმცა გამჭვირვალობა კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა, თუ ყველა მასალა და დოკუმენტი ყველა წევრისათვის მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომი გახდებოდა. აპრილის დასაწყისში ცესკო-მ წარმოადგინა „რეფორმათა სტრატეგია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის“, რომლის მიხედვითაც მან თავისი საშტატო სტრუქტურისა და ფუნქციების რეორგანიზაცია მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიაში მეტი გამჭვირვალობა ძირითად პრიორიტეტად იყო გამოცხადებული, იგი 21-22 აპრილს ცესკო-ში განვითარებული მოვლენების გამო შეილახა, როდესაც ცესკო-ს ზოგიერთ წევრს უარი ეთქვათ ინფორმაციის დროულ მიღებაზე (იხილეთ ნაწილი VII, კანდიდატთა რეგისტრაცია).

გაერო-ს განვითარების პროგრამასთან და „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდთან“ (IFES) ერთად ცესკო-მ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ინსტრუქციები შეიმუშავა. აღნიშნული ინსტრუქციები შემდეგ ტრენინგის სახელმძღვანელოდ იქცა. ცესკო-ს, გაერო-სა და „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების რეფორმათა სტრატეგიის“ მიერ მომზადებული ტრენინგების მეშვეობით ცესკო-მ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ტრენინგები ჩაატარა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ტრენინგი დადებითად შეაფასეს, თუმცა ტრენინგებზე ზოგჯერ დასწრების დაბალი მაჩვენებელი იყო. არჩევნების დღემ ხმების დათვლისა და შეჯამების პროცედურების ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემები გამოავლინა, რამაც კიდევ უფრო აშკარა გახადა მეტი

¹¹ საარჩევნო კოდექსის მუხლი 15 განსაზღვრავს, რომ ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში არ ტარდება მაჟორიტარული არჩევნები. ცესკო-მ შეიმუშავა განკარგულება, რომლის მიხედვითაც ამ საოლქო საარჩევნო კომისიის ამომრჩევლებს მაჟორიტარულ არჩევნებში ხმა მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა მიეცათ. თუმცა, ოპოზიციის მიერ დანიშნულმა ცესკო-ს წევრებმა ეს განკარგულება დაბლოკეს, რომლის მიღებისთვისაც ხმათა ორი მესამედი იყო საჭირო. სასამართლომ დასძინა, რომ იმისათვის, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო კონსტიტუციით მინიჭებული ხმის მიცემის უფლება, ცესკო-ს უნდა მიეღო განკარგულება. თუმცა, ოპოზიციის მიერ დანიშნულმა წევრებმა ხმა კვლავ მის წინააღმდეგ მისცა.

¹² წერილი N 01-02/780 2008 წლის 21 აპრილით დათარიღებული.

¹³ ეს საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, რომელიც საბოლოოდ არ დაკმაყოფილდა.

ტრენინგის ჩატარების საჭიროება, კონკრეტულად ისეთ საკითხებზე, როგორცაა ოქმის შევსება, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიებში ხმების შეჯამება.

ცესკო აქტიურად ემზადებოდა ტექნიკური თვალაზრისით. ჩაატარა ამომრჩეველთა ინფორმაციის კამპანია ამომრჩეველთა სიების, საზღვარგარეთ ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ხმის მიცემის ფარულობისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის თაობაზე. ცესკო-მ პირველად გამოსცა სამართლებრივი აქტების კრებული, რომელიც მოიცავდა საარჩევნო კოდექსს, ყველა დონის საარჩევნო კომისიის რეგლამენტებს, ცესკო-ს მიერ არჩევნების პერიოდში მიღებულ განკარგულებებსა და დადგენილებებს, ასევე სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, როდესაც ცესკო მხარედ იყო წარმოდგენილი. ცესკო-ს ვებ-გვერდი საკმაოდ ინფორმაციული იყო. იგი რეგულარულად ახლდებოდა.

ბ. საოლქო საარჩევნო კომისიები

პარტიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად კონკრეტულად ამ არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა შეიცვალა. საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ხუთიდან 13 წევრამდე გაიზარდა; ხუთ თავდაპირველ წევრს დამატებული ცესკო-ს მიერ დანიშნული ერთი დამატებითი წევრი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი 7 წევრი. შედეგად საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ცესკო-სა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობასთან შესაბამისობაში მოვიდა.¹⁴ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა განცხადებით, ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრები ხანდახან გამოთიშულნი იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობიდან¹⁵ და რომ კომისიები ყოველთვის არ იქცეოდნენ როგორც კოლეციალური ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრება ზოგადად თავისუფალი იყო, OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლები, ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიათა წარმომადგენლები ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში გამჭვირვალობის ნაკლებობაზე მიუთითებდნენ, კერძოდ კი, დუშეთში, ბოლნისში, წალკაში, მარნეულში, ზუგდიდში, სენაკში, ხობში, ქედასა და ხელვაჩაურში.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი უკანასკნელი ცვლილებების შედეგად, გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიების როლი. მათ მიეცათ შესაძლებლობა, შედეგების შეჯამებისას შეცვალონ და ბათილად გამოაცხადონ საუბნო საარჩევნო კომისიის

¹⁴ ცესკო-ს თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეებისა და მდივნების ასარჩევად ახალი არჩევნები არ ჩატარებულა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები მხოლოდ ამ არჩევნებისთვის დაინიშნენ.

¹⁵ ოპოზიციის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიასთან დაიჩივლეს, რომ მათ ყოველთვის თანაბრად არ მიუწვდებოდათ ხელი ყველა საჭირო დოკუმენტზე და ყოველთვის არ იყვნენ ინფორმირებული საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების თაობაზე. OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ეს ინფორმაცია დაადასტურეს.

შემაჯამებელი ოქმები. თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის კვლავ არ არსებობდა დეტალური პროცედურები, არც სპეციალური ტრენინგები შედეგების შეჯამების თაობაზე და არც ინსტრუქციები საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის.

გ. საუბნო საარჩევნო კომისიები

საუბნო საარჩევნო კომისიები 13 წევრისგან შედგება, რომლებიც არჩევნებამდე ინიშნებიან და რომელთა უფლებამოსილების ვადა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებისთანავე იწურება. საუბნო საარჩევნო კომისიის ექვსი წევრი შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობით აირჩევა, მაშინ, როდესაც დანარჩენი შვიდი წევრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიების მიერ ინიშნება. საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე ოპოზიციური პარტიები მმართველ პოზიციებზე არასათანადოდ იყვნენ წარმოდგენილნი. თავმჯდომარის 3,558 პოსტიდან, 203 თავმჯდომარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყო დანიშნული და მხოლოდ ხუთი იყო წარდგენილი ოპოზიციური პარტიების მიერ. დანარჩენი 3,350 თავმჯდომარის პოსტი საუბნო საარჩევნო კომისიებში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნულ წევრებს ეკავა. დე ფაქტოდ მათი უმრავლესობა „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ მიეკუთვნებდა. მსგავსად განაწილდა თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის თანამდებობებიც.

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, თითოეული საარჩევნო უბანი მაქსიმუმ 1,500 ამომრჩეველზე იყო გათვლილი, მაშინ როდესაც წინა მაქსიმუმი 2,000 ამომრჩეველი იყო. თუ იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეიცვალა მხოლოდ ქალაქებში არსებული საარჩევნო უბნების საზღვრები და განისაზღვრა ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისთვის იგი ასევე სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებზეც გავრცელდა.

პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დიდი რაოდენობა კანონით განსაზღვრული ბოლო ვადის ამოწურვამდე შეიცვალა. ოპოზიციურმა პარტიებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას განუცხადეს, რომ ამგვარი ცვლილებები სათანადო კანდიდატების შერჩევის პრობლემიდან გამომდინარეობდა, ან კიდევ, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაშინების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ მოისმინა ბევრი განცხადება პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაშინების, ასევე კომისიების დატოვების მიზნით მათზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დაახლოებით 25 მსგავსი განცხადება განიხილა და დაადასტურა.¹⁶ მსგავსი

¹⁶ კახეთში ადგილი ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაშინებისა და მათზე ზეწოლის შემთხვევებს, რაც მათ გადადგომას ისახავდა მიზნად. შიდა ქართლში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უთხრეს „დაეხუჭა თვალები“ თუ კენჭისყრის დღეს იგი რაიმე დარღვევას ან თაღლითობას შეამჩნევდა. იმერეთში, მასწავლებელი, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იყო, დააშინეს და პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში, სამსახურის დაკარგვით დაემუქრნენ.

ტენდენცია შენარჩუნდა არჩევნების დღესაც, როდესაც არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და წარმომადგენლის დაშინების 15 ფაქტი. ხმათა დათვლის პროცესზე დაკვირვების 4 პროცენტის შემთხვევაში დამკვირვებლები ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები საარჩევნო უბნიდან გამოაძევეს.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე ჩატარდა ტრენინგები, არჩევნების დღემ გამოავლინა რამდენიმე პრობლემა, რომლის წინაშეც საუბნო საარჩევნო კომისიები თავიანთი წევრების პროფესიონალიზმის ნაკლებობის გამო აღმოჩნდნენ. იგი გამოიხატებოდა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა ხმის მიცემის, განსაკუთრებით კი, ხმების დათვლისა და ოქმის შევსების პროცედურების ცოდნა. უფრო მეტიც, კომისიის წევრების ბოლო წუთს შეცვლა მაშინ, როდესაც ტრენინგები თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, უარყოფითად აისახა საუბნო საარჩევნო კომისიების ეფექტურ მუშაობაზე.

VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საკონსულოების, შესაბამისი ორგანოებისა და ინსტიტუტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებების შედეგად, გაუქმდა არჩევნების დღეს რეგისტრაცია და ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმებისთვის განსაზღვრული პერიოდი თორმეტიდან ცხრამეტ დღემდე გაიზარდა (17 აპრილიდან 5 მაისამდე ამ არჩევნებისთვის). ამომრჩეველთა სიები საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკრული. ამომრჩეველებს თავის გადამოწმება ინტერნეტის, ცესკო-ს ცხელი ხაზისა და SMS შეტყობინებაზე დაფუძნებული სერვისის მეშვეობით შეეძლოთ. OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა სიები საუბნო საარჩევნო კომისიებში მეტწილად გამოკრული იყო, რაც ამომრჩეველებს თავის გადამოწმების საშუალებას აძლევდა. თუმცა, ამ უფლებას აქტიურად ამომრჩეველთა შეზღუდული რაოდენობა იყენებდა. ცესკო-ს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ცესკო-ს ცხელი ხაზის მეშვეობით დაახლოებით 13,000 მოქალაქემ გადაამოწმა თავი საარჩევნო სიაში, 8,000-მა SMS შეტყობინებაზე დაფუძნებული მომსახურება გამოიყენა, 29,000-ზე მეტმა ამომრჩეველმა კი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს შესწორების შეტანის მოთხოვნით მიმართა.

15 აპრილს ცესკო-მ განაცხადა, რომ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 3,473,190 შეადგენდა. ცესკო-ს ინფორმაციით, იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამომრჩეველთა სიას 66,740 ახალი ამომრჩეველი დაემატა. აქედან 21,674 საპრეზიდენტო არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვანილი ამომრჩეველია.

ადგილობრივმა დამკვირვებლებმა იანვრის დამატებითი სიებიდან ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის პროცესი დაახასიათეს როგორც არაგამჭვირვალე: დამატებით სიებში შეყვანილი 85,000 ამომრჩეველიდან, ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ 21,674 ამომრჩეველი იქნა შეყვანილი¹⁷. 5 მაისს ცესკო-მ თავისი ოპოზიციური წევრების მოთხოვნის საფუძველზე, ამომრჩეველთა მიერ სიაში თავის გადამოწმების ვადა სამი დღით, 8 მაისამდე გააგრძელა. 16 მაისს, კანონით დადგენილ ვადაში, ცესკო-მ განაცხადა, რომ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა განახლებული საერთო რაოდენობა 3,456,936 შეადგენდა. მიიჩნევა, რომ ამ ამომრჩეველთა უმეტესობა არ ცხოვრობს თავისი რეგისტრაციის ადგილას, რადგან მათ განიცადეს შიდა მიგრაცია ან ემიგრაციაში წავიდნენ.

აპრილის შუა რიცხვებიდან მაისის შუა რიცხვებამდე ამომრჩეველთა სიებში პირთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, თუ შევადარებთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისას დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, ვნახავთ, რომ იგი გაიზარდა. ზოგიერთ რაიონში, საპრეზიდენტოდან საპარლამენტო არჩევნებამდე ზრდა საოცრად მაღალი იყო. მაგალითად, ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში რიცხვი 6,000 ამომრჩეველით გაიზარდა, რაც 6 პროცენტთან ზრდას შეადგენს. ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა დაახლოებით 4,000-ით გაიზარდა, ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში კი, დაახლოებით 3,000-ით. სპეციალურ საარჩევნო სიებში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობაც ასევე 8,564-ით გაიზარდა.

ამომრჩეველთა სიის გაუმჯობესებისკენ მიმართული მცდელობების მიუხედავად, მასში კვლავ რჩება უზუსტობები. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების განცხადებით, არჩევნების დღეს მონახულებული საარჩევნო უბნების 21 პროცენტზე ამომრჩეველებს უარი ეთქვათ ხმის მიცემაზე იმ მიზეზით, რომ მათი სახელები ამომრჩეველთა სიებში არ აღმოჩნდა. ბევრი დაინტერესებული მხარე კვლავ გამოხატავდა შეშფოთებას ამომრჩეველთა სიებში არსებულ უზუსტობებთან დაკავშირებით, აცხადებდნენ რა, რომ ამომრჩეველთა სიები გაბერილი იყო გარდაცვლილი და არარსებულ მისამართებზე რეგისტრირებული პირების, ასევე დუბლიკატების არსებობის ხარჯზე.

„რესპუბლიკურმა პარტიამ“ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ცესკო-ს მიერ მათთვის მიწოდებული ამომრჩეველთა სიის გადამოწმების შედეგად, მათ დააფიქსირეს მრავალი შემთხვევა, როდესაც 18-დან 80-მდე ამომრჩეველი

¹⁷

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფის მიხედვით, 5 იანვარს დამატებით სიებში შეყვანილი 85,000 ამომრჩეველიდან, ამომრჩეველთა საერთო სიაში არ იყო 42,321 ამომრჩეველი. დანარჩენი ამომრჩეველები ყურადღებით შესწავლის შემდეგ სიაში აღმოჩნდნენ. იმ პირთაგან, რომლებიც არ იყვნენ ამომრჩეველთა სიებში 5 იანვრის არჩევნებამდე, 2,0674 ამომრჩეველმა მიაღწია ხმის მიცემის ასაკს ან აიღო პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ერთიანი სიის დახურვის შემდეგ. ისინი იყვნენ სამოქალაქო რეესტრის 1 თებერვლის განახლებულ მონაცემებში და ავტომატურად იყვნენ შეყვანილი ერთიან სიაში. დამატებით სიებში არსებულ 85,000 ამომრჩეველთა შორის არსებული დანარჩენი ამომრჩეველები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც შეცდომით არ იყვნენ სიაში შეყვანილი, მაგრამ რომელთაც შეძლეს დაედასტურებინათ ინფორმაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილისა და თავიანთი ვინაობის შესახებ, რის შემდეგაც მათ მისცეს უფლება შეყვანილი ყოფილიყვნენ ამომრჩეველთა სიაში.

ერთსა და იმავე მისამართზე იყო დარეგისტრირებული. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დაადასტურეს რამდენიმე ეს ფაქტი თბილისსა და ბათუმში, სადაც ბინის მფლობელებმა მათ ბინაში დარეგისტრირებული ბევრი ადამიანის თაობაზე არაფერი იცოდნენ.

იუსტიციის სამინისტროს მიხედვით, თბილისში სულ დაფიქსირდა 376 მისამართი, სადაც ათზე მეტი ამომრჩეველი არის დარეგისტრირებული.¹⁸ უფრო მეტიც, იუსტიციის სამინისტროს მიხედვით, თბილისში, საბურთალოს რაიონში, დაფიქსირდა 692 მისამართი ბინის ნომრის გარეშე, სადაც ათზე მეტი ამომრჩეველი არის დარეგისტრირებული. ამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 12,119-ს შეადგენს.¹⁹

ზოგიერთი ოპოზიციური პარტია აცხადებდა, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ადამიანები ერთსა და იმავე დღეს დაარეგისტრირეს იმავე მისამართზე და მისცეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. მათი განცხადებით, ამის მიზანს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სავარაუდო ამომრჩეველების ახლომდებარე უბნებში რეგისტრაცია წარმოადგენდა. ოპოზიციის მიხედვით, ამგვარად საბურთალოს რაიონში 400-მდე ადამიანი დარეგისტრირდა. OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლებმა შეძლეს საბურთალოს რაიონში სამი შემთხვევის დადასტურება, როდესაც სამიდან რვა კაცამდე ერთსა და იმავე მისამართზე იყო რეგისტრირებული, სადაც მათ არავინ იცნობდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით მათ დაადასტურეს, რომ რეგისტრაციის დღე 4 მაისი იყო.

VII. კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მხოლოდ ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შეუძლიათ პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა. კანონი არ იძლევა ინდივიდუალურ კანდიდატთა წარდგენის უფლებას რაც საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას წარმოადგენს²⁰. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებებით არასაპარლამენტო პარტიებისთვის რეგისტრაციაში გატარებისთვის სავალდებულო მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა 50,000-დან 30,000-მდე შემცირდა.

¹⁸ სამოქალაქო რეესტრმა ამ ბინათა მფლობელებს შეტყობინება გაუგზავნა, რათა მათ სურვილის შემთხვევაში თავიანთ ბინაში დარეგისტრირებულ ადამიანთა რეგისტრაცია გაეუქმებინათ. შედეგად, რეგისტრაცია 44 ადამიანს გაუუქმდა.

¹⁹ მონაცემები იუსტიციის სამინისტროს მიერ „რესპუბლიკური პარტიის“ შეკითხვაზე გაცემული პასუხის საფუძველზე.

²⁰ ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ წევრი ქვეყნები პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას შექმნან პოლიტიკური ან საჯარო დაწესებულება დამოუკიდებლად ან როგორც პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

თავდაპირველად, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 60-მა პარტიამ გამოთქვა. მათ შორის 13 უკვე წარმოდგენილი იყო წინა მოწვევის პარლამენტში²¹ და ყველა მათგანი დარეგისტრირდა, ერთი ერთი სასამართლო გადაწყვეტილების გზით²². უფრო მეტიც, 28 არასაპარლამენტო პარტიამ ცესკო-ში მხარდამჭერთა ხელმოწერები შეიტანა. ხელმოწერათა შემოწმების შედეგად, 10 პარტია დარეგისტრირდა, 18-ს კი, უარი ეთქვა საარჩევნო რეგისტრაციაზე ნამდვილ ხელმოწერათა არასაკმარისი რაოდენობის გამო. ამ პარტიათაგან ხუთმა სასამართლოში იჩივლა; პროცესი ყველა მათგანმა წააგო. შედეგად, არჩევნებისთვის 12 საარჩევნო სუბიექტი - 9 პარტია და 3 საარჩევნო ბლოკი დარეგისტრირდა. ამ პარტიებში შედიოდა: „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისას ძირითადი ოპოზიციური ბლოკის ნაწილი იყო, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა. ასევე „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „გაერთიანებული ოპოზიცია - ეროვნული საბჭო - ახალი მემარჯვენეები“ (გაერთიანებული ოპოზიცია), რომლის კანდიდატმა - ლევან გაჩეჩილაძემ, იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა და ახლადშექმნილი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

ზოგადად ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე რეგისტრაციის პროცესი 21-22 აპრილს ცესკო-ში მომხდარმა მოვლენებმა დაჩრდილა. მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ (რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი უნდა ყოფილიყო) საკუთარი კანდიდატურა ბოლო წუთს მოხსნა, ცესკო-ს ოპოზიციურმა წევრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის ნახვა მოითხოვეს იმის გასარკვევად, შეცვალა თუ არა პარტიამ თავისი სია კანონის მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა მათ სიის ნახვა დაუყოვნეს. ეს მოვლენები ხასიათდებოდა გაუმჭვირვალობის მაღალი დონით, რადგან ცესკო-ს ზოგიერთმა წევრმა და თანამშრომელმა ცესკო-ს სხვა წევრებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეუზღუდა. შედეგად, ზოგიერთი დაინტერესებული მხარის ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაუარესდა.

²¹ იმისათვის, რომ პარტია საპარლამენტო პარტია ჩათვლილიყო პარტიადსაკმარისი იყო, პარლამენტის ერთ წევრს ხელი მოეწერა წერილზე, რომელშიც განაცხადებდა, რომ იგი არის მოცემული პოლიტიკური პარტიის წევრი.

²² პოლიტიკურმა კავშირმა „ქრისტიან დემოკრატიულმა ალიანსმა“ თავდაპირველად არ მიაწოდა ცესკო-ს დოკუმენტი იმის დასადატურებლად, რომ იგი წარმოდგენილი იყო წინა მოწვევის პარლამენტში. შედეგად, მათ მიეცათ დოკუმენტები მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად. პარტიამ წარადგინა ერთი პარლამენტის წევრის დოკუმენტი იმის დასადატურებლად, რომ ის იყო პარტიის წევრი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასეთი დოკუმენტების ჩაბარების ვადა ამოიწურა (რომლის ვადაც განსხვავდება მხარდამჭერთა ხელმოწერების ჩაბარების ვადისგან). ცესკო-მ ამის გამო უარი განაცხადა პარტიის დარეგისტრირებაზე. პარტიამ ცესკო-ს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც იგი გააუქმა.

VIII. საარჩევნო კამპანია

არჩევნები მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში წარიმართა. ოპოზიციური პოლიტიკოსები დიდ უნდობლობას გამოხატავდნენ სახელმწიფო მოხელეებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ, ასევე უნდობლობას უცხადებდნენ ზოგადად საარჩევნო პროცესს. 21-22 აპრილს ცესკო-ში განვითარებულმა მოვლენებმა ეს უნდობლობა კიდევ უფრო გააღრმავა და ოპოზიციის ეჭვი ცესკო-ს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გაამძაფრა. „გაერთიანებული ოპოზიციის“ ორი ლიდერი აჯანყების მოწყობის თაობაზეც დაიმუქრა, თუ არჩევნები არასამართლიანი იქნებოდა. პოლარიზაციამ და უნდობლობამ, ასევე ქვეყნის ბევრ რეგიონში დაშინების მასშტაბურმა ფაქტებმა არ შეუწყო ხელი კონსტრუქციული საარჩევნო კამპანიის ჩატარებას.

ზოგადად, ყველა პარტიას მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება ჰქონდა. თუმცა, ვრცელდებოდა განცხადებები ოპოზიციის საარჩევნო ღონისძიებებისთვის ხელის შეშლის თაობაზე, რაც კახეთში, იმერეთსა და აჭარაში OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დადასტურდა. მაგალითად, ქუთაისში, „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ სპორტულ მოედანზე წინასწარ დაგეგმილ შეხვედრამდე, ორი ადგილობრივი თანამდებობის პირი შეხვედრის დამსწრეებს დაემუქრა რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ მათთვის გაწეული მომსახურებით ვეღარ ისარგებლებდნენ. თანამდებობის პირებმა ისიც კი მოითხოვეს, რომ „ქრისტიან დემოკრატიულ მოძრაობას“ არ ჩატარებინა დემონსტრაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ აშენებულ სპორტულ მოედანზე. საბოლოოდ, შეკრება სპორტული მოედნის გარეთ ჩატარდა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, ოპოზიციის საარჩევნო ღონისძიებებს ხელი უფრო ხშირად სოფლებში ეშლებოდათ.

საარჩევნო ღონისძიებათა ძირითად ფორმას უფრო მცირემასშტაბიანი ღონისძიებები და აგიტაცია წარმოადგენდა, ვიდრე ფართომასშტაბიანი გამოსვლები საარჩევნო ბილბორდები განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში. მათი დიდი ნაწილი „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ ეკუთვნოდა. ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ განაცხადა, რომ მათ თანაბრად არ მიუწვდებოდათ ხელი კომერციულ ბილბორდებზე, ამტკიცებდნენ რა, რომ ყველა ბილბორდისთვის განკუთვნილი ადგილი „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა დაკავებული და რომ ბილბორდების ფასები პოლიტიკური რეკლამისთვის უაღრესად მაღალი იყო. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 3 მაისის მიმართვის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ოპოზიციურ პარტიებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ბილბორდებზე, ოპოზიციის ბილბორდების რაოდენობა გაიზარდა.

საარჩევნო კოდექსის დებულებები საარჩევნო პლაკატების განთავსების თაობაზე არათანმიმდევრულად ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას პლაკატების განთავსებლად ადგილები უნდა გამოეყო, ეს მოთხოვნა ყველა ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ შეასრულა, მაგალითად თბილისსა და ბათუმში. მიუხედავად ამისა, პლაკატების გაკვრა ფართოდ იყო დასაშვები და

სხვადასხვა პარტიამ ისინი დიდი რაოდენობით განათავსა. მიუხედავად იმისა, რომ პლაკატის ჩამოსხნა, დაზიანება ან დაფარვა დარღვევაა თუ ისინი აკრძალულ ადგილას არ არის გაკრული, სამივე პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა. „ერთიანებულმა ოპოზიციამ“ განაცხადა, რომ ხულოში მათი პლაკატები პოლიციამ ჩამოხია.

უჩვეულოა, მაგრამ საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ შეიცავს საარჩევნო კამპანიის წარმოების დროის რაიმე ზოგად შეზღუდვას ან აკრძალვას კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნების ახლოს აგიტაციის წარმოების შესახებ. უფრო მეტიც, საარჩევნო კოდექსის 75.4 მუხლში ჩამოთვლილია ის შენობები, სადაც საარჩევნო მასალების გაკვრა არის აკრძალული, თუმცა საარჩევნო უბნები მათ შორის არ არის მოხსენიებული. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებულ უბანთაგან, კენჭისყრის დღეს საარჩევნო აგიტაცია უბანთა 4 პროცენტზე აღინიშნა და მოიცავდა საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ გაკრულ პლაკატებს, ფურცლებს დარიგებას, ასევე აქტივისტებს, რომლებიც ამომრჩევლებს თხოვდნენ ხმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიეცათ, რასაც ადგილი ხანდახან საარჩევნო უბნის შიგნითაც ჰქონდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საარჩევნო კამპანიისას აქცენტს სიღარიბის დაძლევაზე, ასევე პენსიების გაზრდაზე, სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ასევე მთავრობის მიღწევებზე აკეთებდა. ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ თავიანთი საარჩევნო კამპანია ასევე ააგო ეკონომიკურ და კონსტიტუციურ რეფორმებზე. ხშირად კეთდებოდა აქცენტი ადგილობრივ პრობლემებზეც. თუმცა, ოპოზიციურ პარტიათა საარჩევნო კამპანიის ტონალობა მკვეთრად უარყოფითი იყო. იგი აქცენტს საარჩევნო პროცესისადმი უნდობლობაზე, შესაძლო დარღვევებსა და ხელისუფლების მიერ არჩევნების მანიპულაციის გეგმებზე აკეთებდა. ზოგიერთმა წამყვანმა ოპოზიციურმა ფიგურამ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით მწვავე გამოთქმები გამოიყენა.

საარჩევნო კამპანიაზე გავლენა იქონია და იგი ნაწილობრივ გადაფარა აფხაზეთის თემაზე რუსეთთან დამაბულობამ. ოპოზიციონერი ლიდერები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ კრიზისის მოგვარების საქმეში არაკომპეტენტურობაში და ამ თემით საარჩევნო ქულების დაწერაში ადანაშაულებდნენ, რაც საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას.

ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა განსაკუთრებით მძაფრად გააკრიტიკა ცესკო-ს თავმჯდომარე, რომელსაც პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენეს. 1 მაისს „გაერთიანებული ოპოზიციის“ ლიდერებმა მოაწყვეს დემარში ცესკო-ს მიმართულებით, რაც პოლიციასთან მწვავე შეტაკებით დასრულდა. 3 მაისს „გაერთიანებული ოპოზიციის“ ახალგაზრდა აქტივისტებმა დემონსტრაცია ცესკო-ს თავმჯდომარის სახლთან მოაწყვეს.

კანდიდატთა, პარტიის აქტივისტთა და სახელმწიფო მოხელეთა დაშინებასთან დაკავშირებით გავრცელებულმა მრავალმა განცხადებამ საარჩევნო გარემოზე

უარყოფითად იმოქმედა. იმ უამრავ კონკრეტულ განცხადებათაგან, რომლებიც OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შეამოწმა, რამდენიმე დადასტურდა²³. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა განსაკუთრებით კახეთში, მცხეთა-მთიანეთის ნაწილში, შიდა ქართლში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში. ეს შემთხვევები ასევე მოიცავდა ადგილობრივი თანამდებობის პირების მიერ ოპოზიციის მხარდამჭერებზე განხორციელებული ზეწოლის რამდენიმე დადასტურებულ ფაქტს, რათა მათ უარი ეთქვათ კამპანიის წარმოებაზე. ასეთი ფორმის ზეწოლა განსაკუთრებით მასწავლებლებზე ხორციელდებოდა. სკოლის დირექტორებისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მასწავლებლების მისამართით განხორციელებული მუქარის მრავალი შემთხვევა დადასტურდა. ისინი მასწავლებლებს სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდნენ, თუ ოპოზიციური პარტიებისთვის მუშაობას გააგრძელებდნენ. მაგალითად, კახეთში მასწავლებელი, რომელმაც საკუთარი მხარდაჭერა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ „რესპუბლიკური პარტიისკენ“ მიმართა, სკოლის დირექტორმა გააფრთხილა, რომ მას სამსახურიდან დაითხოვდნენ, თუ იგი პოზიციას შეიცვლიდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივმა კანდიდატმა მასწავლებელს პარტიისადმი ერთგულების სანაცვლოდ, ხელფასის გაორმაგება შესთავაზა.

„გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტს მცხეთა-მთიანეთში თავისმა უფროსმა დაავალა, შეეგროვებინა 20 ამომრჩეველი, რომლებიც ხმას ღიად მისცემდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამსახურიდან გათავისუფლდებოდა. მისი დედა, რომელიც სკოლის მასწავლებელია, გააფრთხილა თავისმა სკოლის დირექტორმა იმის თაობაზე, რომ თუ მისი ბიჭი არ შეწყვეტდა თავის საქმიანობას ოპოზიციის სასარგებლოდ, მას სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ. დაბოლოს, როდესაც ბიჭი ავრცელებდა ოპოზიციის შეხვედრის მოსაწვევებს, იგი გააფრთხილეს, რომ მას დააპატიმრებდნენ, თუ ოპოზიციისთვის მუშაობას გააგრძელებდა, და თუ იგი თავის ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა, საქმიანობა უნდა შეეწყვიტა. ზოგიერთ შემთხვევაში, რომელიც OSCE/ODIHR-მა დაადასტურა, ოპოზიციის აქტივისტები დანებდნენ ზეწოლას და თავიანთი საარჩევნო საქმიანობა შეწყვიტეს. მაგალითად, გურიაში „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა დატოვა რეგიონი მას შემდეგ, რაც მასზე და მის ოჯახზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ზეწოლა განხორციელდა.

ასევე ადგილი ჰქონდა განცხადებებს იმის თაობაზე, რომ თუ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების ნათესავები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გარანტირებული ხმების მოგროვებას შეძლებდნენ, ეს პირები პატიმრობიდან გათავისუფლდებოდნენ. სანდო თვითმხილველმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, თუ როგორ უთხრა ქალს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა იმის თაობაზე, რომ მის ვაჟისშვილს ციხიდან

23

ასეთი მეთოდები არ შეესაბამება ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პუნქტს, რომელიც მოითხოვს, რომ არჩევნები სამართლიან და თავისუფალ გარემოში, ყოველგვარი ადმინისტრაციული ღონისძიების, ძალადობისა და დამინების გარეშე უნდა ჩატარდეს.

გაათავისუფლებდნენ, თუ იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის” რამდენიმე ასეული ხმის მოგროვებას შეძლებდა. გურიაში, ახალგაზრდა მამაკაცთა ჯგუფი წაიყვანეს მილიციაში და გააფრთხილეს, რომ მათ დაიჭერდნენ, თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას” მხარდამჭერებს არ მოუპოვებდნენ.

„გაერთიანებულმა ოპოზიციამ” წარმოადგინა აუდიოჩანაწერი, რამაც ცაგერში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატი სახელმწიფო მოხელეების დაშინებაში ამხილა. მათ თანამდებობიდან დათხოვნა ემუქრებოდათ, თუ ისინი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის” 80%-იანი²⁴ მხარდაჭერის მოპოვების უზრუნველყოფას ვერ შეძლებდნენ. ოპოზიციის განცხადებით, საჯარო სექტორის თანამშრომლების დაშინების მსგავს ფაქტებს ხშირად ჰქონდა ადგილი. კანდიდატმა არჩევნებიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამაზე მკვეთრი რეაგირება მოახდინა და მოწოდება გააკეთა უკანონო ქმედებების ჩადენისგან თავის შეკავების თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა თავისი ოფიცრები, არ ჩარეულიყვნენ არჩევნებში და უსაფრთხო გარემოს შექმნა უზრუნველყოთ.

განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის ხშირად ბუნდოვანი იყო.²⁵ მაგალითად, სამთავრობო სოციალური პროგრამები, როგორცაა სოფლებში საწვავის ვაუჩერების დარიგება ხანდახან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საარჩევნო ღონისძიებებთან ერთად ხორციელდებოდა.²⁶ მაგალითად, თბილისში, კრწანისის რაიონის სოფელ ფონიჭალაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მაჟორიტარი კანდიდატი შეუერთდა თბილისის მერს საწვავის ვაუჩერების დარიგების პროცესში და საარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. ტყიბულში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” აქტივისტებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას დაუდასტურეს, რომ ისინი საწვავის ვაუჩერებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ოფისიდან არიგებდნენ. ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან იყო განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ოფიციალური პირები ახდენდნენ ხმების მოსყიდვას, ასევე არიგებდნენ ფქვილს სოფლებში და საკონდიტრო ნაწარმს ბავშვებში.

ადგილი ჰქონდა რამდენიმე შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო თანამდებობის პირები ერთმანეთს უთავსებდნენ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად საარჩევნო კამპანიის წარმოებას. მაგალითად, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განახლებული კინოთეატრი თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად გახსნა. თბილისის მერმა გახსნა საცურაო აუზი და

²⁴ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატის შეფასებით, ცაგერში საჯარო სამსახურში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა.

²⁵ რაც ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტს ეწინააღმდეგება.

²⁶ მთავრობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ გადაწყვიტეს არ განეხორციელებინათ მსგავსი პროგრამები არჩევნების პერიოდში, რათა თავიდან აეცილებინათ მსგავსი შემთხვევები. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ხდებოდა ვაუჩერების დარიგებისა და საარჩევნო ღონისძიებების ერთმანეთთან შეთავსება.

პარკი თბილისში, ორივე შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად.

ოპოზიციური პარტიები ასევე აცხადებდნენ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრივილეგირებულად მიუწვდებოდა ხელი ადმინისტრაციულ რესურსებზე. კახეთში, „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრივილეგირებულად ისარგებლა რამდენიმე სახელმწიფო შენობით. ამასთან ერთად, „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ თელავში, საფასურის გადახდის გარეშე კულტურის ცენტრი გამოიყენა მაშინ, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა მის გამოსაყენებლად სხვადასხვა რაოდენობის თანხა გადაიხადეს.²⁷

გაკეთდა ბევრი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ გამგებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში ერთვებოდნენ, რაც მათ ეკრძალებათ, იქედან გამომდინარე, რომ ისინი არიან საჯარო მოსამსახურეები და არა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები. 5 მაისს ქარელის ახლოს მდებარე სოფლებში, OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა, თუ როგორ იყო ჩართული შიდა ქართლის გამგებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად საარჩევნო კამპანიის წარმოებაში.

არჩევნების შემდგომ გარემო გაუარესდა უცნობი თავდამსხმელების მიერ ოპოზიციურ აქტივისტებზე ძალადობრივი თავდასხმების შედეგად, რასაც 19 მაისიდან 2 ივნისამდე ჰქონდა ადგილი. ამ პერიოდის განმავლობაში „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ დაასახელა თავდასხმის 13 შემთხვევა. სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიდაც მსგავსი თავდასხმები დაგმო. ბევრი მსხვერპლი ჩართული იყო არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ სასამართლო პროცესის აღძვრაში. ზოგიერთმა ოპოზიციური პარტიის ლიდერმა თავდასხმებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას დააკისრა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შვიდივე აღნიშნული ოპოზიციონერი აქტივისტი მოინახულა და დაადასტურა, რომ ექვსი მათგანი ნაცემი იყო (მეშვიდეს მანქანით დაეჯახნენ). ერთ მძიმე შემთხვევაში, „გაერთიანებული ოპოზიციის“ კანდიდატს ფეხი მოტეხეს უცნობმა პირებმა, რომლებიც მას თავს დაესხნენ, მას შემდეგ, რაც აიძულეს მანქანა გაეჩერებინა. სხვა ორი შემთხვევა, რომელსაც OSCE/ODIHR-ის არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ მისდია, შეეხებოდა ოპოზიციურ ფიგურებს, რომლებიც იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ან პარტიის დამკვირვებლები, და რომლებმაც განცხადებები საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრასთან დაკავშირებით გააკეთეს. ორივე შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი შეეხებოდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც მხარი ჰქონდა ამოგდებული და თითი მოტეხილი, განაცხადეს, რომ თავდასხმამდე მათ რამდენჯერმე დაემუქრნენ.

²⁷

როგორც ეს ცენტრის ოფიციალურმა პირმა დაადასტურა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას ეცნობა, რომ ამ საქმეებზე გამოძიება დაიწყო. არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ დგას ამ მიუღებელი თავდასხმების უკან, მათ შეუძლებელია არ იქონიონ სავალალო გავლენა საარჩევნო პროცესის მიმართ ამომრჩეველთა ნდობაზე. ამისათვის, აუცილებელია, რომ მოხდეს კანონდამრღვევების დაკავება და მართლმსაჯულების წინაშე მათი დაუყოვნებლივ წარდგენა.

საარჩევნო კოდექსის დებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის დაფინანსების თაობაზე უნდა იქნეს წარდგენილი თვეში ერთხელ (მუხლი 48/4) არაადეკვატური აღმოჩნდა, რადგან საარჩევნო ბლოკებისთვის დარეგისტრირების ვადა არჩევნებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი იყო, რაც ამ დებულების მიზანს, უზრუნველყოს გამჭვირვალობა - აკნინებს. საარჩევნო კოდექსის 48 მუხლის 10 პუნქტის შესაბამისად, ცესკო-მ შექმნა ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მოვალეობას წარმოადგენდა, ეწარმოებინა არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგი, რომელიც ყველა საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში ცესკო-ში უნდა წარადგინოს. მას ასევე ევალება იმ ანგარიშების მონიტორინგი, რომლებიც გამარჯვებულმა საარჩევნო სუბიექტებმა კენჭისყრიდან 8 დღის ვადაში უნდა წარადგინონ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48/6). ჯგუფის ეფექტურობა შეზღუდა იმ გარემოებამ, რომ საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავს მის მანდატს, რამაც ის განაპირობა, რომ შეინიშნებოდა გაუგებრობა მისი პასუხისმგებლობების არეალთან დაკავშირებით. საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ეფექტური მონიტორინგი კიდევ უფრო შეიზღუდა იმის გამო, რომ ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში, საარჩევნო ფონდში გაკეთებული შემოწირულობის დიდი ნაწილი თავად პარტიების მიერ კეთდებოდა, რამაც გაუგებარი გახადა, თუ თავდაპირველად ვის მიერ იყო გაკეთებული შეწირულობა.

ხუთიდან ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა, რომლებმაც მოიპოვეს ადგილი ახალი მოწვევის პარლამენტში, არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიში რვა დღის ვადაში წარმოადგინა. იგი არ წარმოადგინა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ იმ მიზეზით, რომ რადგან მან მოიგო მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები და ვერ გადალახა 5 პროცენტის ბარიერი პროპორციულ არჩევნებში, იგი არ იყო ვალდებული წარმოედინა მსგავსი ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ რა მოითხოვება ასეთ შემთხვევაში, ფინანსური მონიტორინგის ჯგუფმა და ცესკო-ს თავმჯდომარემ განაცხადეს, რომ „რესპუბლიკელებს“ უნდა წარედგინათ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიში რვა დღის ვადაში. ამ ანგარიშების გამოსადეგობა რვა დღის შემდეგ შემცირდა, რადგან საარჩევნო სუბიექტებმა ფინანსური ინფორმაცია ნაღდი ფულის საფუძველზე წარმოადგინეს, ისე, რომ ის ხარჯები, რომლებიც საარჩევნო კამპანიისას იქნა გაღებული, მაგრამ რომელთა გადახდა ჯერ არ განხორციელებულა, არ იყო მითითებული. ამ ანგარიშების მიხედვით „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაახლოებით 12 მილიონი ლარი (5.4 მილიონი ევრო) დახარჯა. „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ კი - დაახლოებით 480,000 ლარი (210,000 ევრო).

IX. მედია

ა. ზოგადი ფონი

საქართველოში დაახლოებით 70 სატელევიზიო და რადიოკომპანია, ასევე 200-მდე ბეჭდური მედია არის რეგისტრირებული. ტელევიზია ახალი ამბებისა და ინფორმაციის მიღების ყველაზე გავლენიანი წყაროა. „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, და კერძო ტელევიზიები - „რუსთავი 2“, „იმედი“ და „მზე“ მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ. ბათუმში არსებული ტელეკომპანია „აჭარა“, რომლის მფლობელი აჭარის ადგილობრივი ხელისუფლებაა, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს. ოპოზიციური ტელეკომპანია „კავკასია“ მხოლოდ თბილისს ფარავს. გაზეთები ძირითადად ურბანულ ტერიტორიებზე ვრცელდება და მათი უმეტესობა მცირე ტირაჟით გამოდის.

პლურალისტური მედიაგარემოს მიუხედავად, გამოცემათა უმეტესობა კვლავაც მათი მფლობელებისა და პოლიტიკური პატრონების ძლიერი გავლენის ქვეშ რჩება. არჩევნების გაშუქებისას ეს გულისხმობდა იმას, რომ ხუთივე ძირითადი ტელეკომპანია კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ გარკვეულ გავლენას განიცდიდა, რაც აბრკოლებდა ყველა საარჩევნო სუბიექტის არადისკრიმინაციულ გაშუქებას, როგორც ამას კანონი მოითხოვს.²⁸

მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია „იმედმა“, პოპულარულმა, პრო-ოპოზიციურ ტელეკომპანიად მიჩნეულმა არხმა, რომელმაც მაუწყებლობა 2007 წლის დეკემბრიდან შეწყვიტა და ეთერი საარჩევნო კამპანიის პერიოდში განაახლა, ახალი ამბებისა და თოქ შოუების ეთერში გაშვება მხოლოდ არჩევნების შემდეგ გადაწყვიტა. ყველაზე ფართოდ ყურებადი იყო ახალი ამბები და საინფორმაციო პროგრამები სხვა პოპულარული მაუწყებლის - „რუსთავი 2-ის“ ეთერში. ძირითადი ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებისა და მხარდამჭერების მიერ „რუსთავი 2-ისა“ და ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის გამო,²⁹ ორივე ტელეკომპანიამ „გაერთიანებული ოპოზიციის“ ღონისძიებებს თავისი ახალი ამბების გამოშვებებში ბოიკოტი გამოუცხადა. „მზის“ ბოიკოტი 26 აპრილამდე გაგრძელდა, „რუსთავი 2-ის“ კი – 28 აპრილამდე. სამაგიეროდ, ოპოზიციურმა ბლოკმა ბოიკოტი გამოუცხადა „რუსთავი 2-ს“ და „მზეს“ ოპოზიციის მიერ მარტში გამართულ შიმშილობის აქციასთან დაკავშირებით და ისინი ხელისუფლებისადმი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა. ისინი ინტერვიუების მხოლოდ პირდაპირ ეთერში მიცემას თანხმდებოდნენ.

²⁸ კანონის მაუწყებლის შესახებ, მუხლი 54.

²⁹ ტელეკომპანია „მზე“ ეკუთვნის იმავე მედიაჰოლდინგს, რომელსაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“.

ბ. მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა

საარჩევნო კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომელთა მეშვეობითაც საარჩევნო კამპანიის განმავლობაში მედიის ქცევა კონტროლდება, ისევე, როგორც საარჩევნო კანდიდატებისთვის უფასო და ფასიანი საეთერო დროის გამოყოფა. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს „კვალიფიციურ“ (პოლიტიკური პარტიები ან ბლოკები, რომლებიც პარლამენტში ფრაქციით არიან წარმოდგენილი ან რომლებმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღეს საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა) და „არაკვალიფიციურ“ სუბიექტებს, რომლებმაც უფასო საეთერო დროის/სივრცის მისაღებად, საზოგადოების მხარდაჭერა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით უნდა დაამტკიცონ. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ გამოყო საათში 60 წამი უფასო რეკლამისთვის კვალიფიციური სუბიექტებისთვის და საათში 30 წამი არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის. დებატებში მონაწილეობის თარიღი და რიგითობა, ასევე პროგრამის უფასო წარდგენა წილისყრით გადაწყდა.

ტელეკომპანიებში ფასიანი რეკლამის ტარიფი ძალიან მაღალი იყო. ძირითად ტელეარხებზე პოლიტიკური რეკლამის ტარიფი არაპოლიტიკური, კომერციული რეკლამის ტარიფს დაახლოებით ათჯერ აღემატებოდა. ზოგიერთმა პოლიტიკურამ პარტიამ უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ფასიანი სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამის მაღალმა ტარიფმა მათ მედიაში საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება შეუზღუდა. ამის გამო ისინი აქტიურად იყენებდნენ საეთერო დროს უფასო პრეზენტაციებისა და სარეკლამო რგოლებისთვის როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, ისე კერძო მაუწყებლების ეთერში. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უფასო საეთერო დრო ყველა პარტიასა და ბლოკს შესთავაზა. იგი შექებას იმსახურებს იმის გამო, რომ მან უფასო საეთერო დრო ასევე შესთავაზა ისეთ პარტიებს, რომელთათვისაც უფასო დროის გამოყოფა მას კანონით არ ევალდება. კერძო ტელეარხებმა კი, უფასო საეთერო დრო მხოლოდ კვალიფიციურ სუბიექტებს შესთავაზა³⁰. უნდა აღინიშნოს, რომ „რუსთავი 2-ისა“ და „მზის“ მიერ ახალი ამბების გამოშვებებში „გაერთიანებული ოპოზიციის“ ღონისძიებებისადმი ბოიკოტის გამოცხადების მიუხედავად, ორივე ტელეკომპანიამ მაინც შეასრულა კანონით დაკისრებული მოვალეობა და ყველა კვალიფიციურ სუბიექტს უფასო საეთერო დრო შესთავაზა.

საარჩევნო კოდექსის მუხლი 73, პრიმა 1.11 ცესკო-ს მედიამონიტორინგის განხორციელებას ავალდებულებს, რათა მან გააკონტროლოს უფასო დროის გამოყოფა ისევე, როგორც მედიის მიერ გაშუქებასთან დაკავშირებული კანონის სხვა დებულებების შესრულება. საარჩევნო კოდექსის მუხლი 73, პრიმა 1.1 განსაზღვრავს, რომ „ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისთვის

³⁰

საარჩევნო კანონის მუხლი 73 პრიმა 1.2 ადგენს, რომ საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლები ვალდებული არიან თანაბრად გამოყოფონ უფასო საეთერო დრო 90 წამი ყოველ სამ საათში თითოეული კვალიფიციური სუბიექტისთვის. არაკვალიფიციურ სუბიექტებს არ აქვთ უფასო საეთერო დროის მიღების უფლება.

თანაბარი პირობების დადგენის შესახებ, ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით”. საარჩევნო კოდექსის მუხლი 29 ცესკო-ს აძლევს უფლებას აკონტროლოს, თუ როგორ სრულდება იგი და უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის თანაბარი გამოყენება.

მაუწყებელთა მთავარი მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, რომელსაც ლიცენზირებისა და სამაუწყებლო მედიაზე საზედამხედველო მოვალეობები აკისრია. მაუწყებლობის შესახებ კანონის 54-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ როგორც საზოგადოებრივმა, ისე კერძო მაუწყებლებმა ახალი ამბების გამოშვებებში ყველა შესაბამისი აზრის პლურალისტული და არადისკრიმინაციული გაშუქება უნდა უზრუნველყონ. კანონით³¹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილია, გამოიყენოს სანქციები,³² თუ საზოგადოებრივი ან კერძო მაუწყებელი არღვევს სამაუწყებლო მედიის კანონმდებლობას, კომისიის გადაწყვეტილებას, ან კიდევ ლიცენზიის პირობებს. ცესკო-მ მედიამონიტორინგი კომერციული კომპანიის საშუალებით ჩაატარა და მედიამონიტორინგის ოთხი ანგარიში გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები ახალ ამბებში ბალანსის ნაკლებობაზე მიუთითებდა, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო. ცესკო-მ და კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ აღნიშნეს, რომ მედიასთან დაკავშირებით მათთან არანაირი საჩივარი არ შესულა.

გ. ურთიერთგაგების მემორანდუმი

ოპოზიციის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გაკრიტიკების შემდეგ, 26 თებერვალს პარლამენტმა მაუწყებლის ახალი სამეურვეო საბჭო აირჩია. საბჭოს ცხრა წევრი, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობას უწევს ზედამხედველობას, ხელისუფლებასა და ძირითად ოპოზიციურ ბლოკს შორის შეთანხმების შედეგად დაკომპლექტდა. 4 აპრილს, ახალმა საბჭომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი დირექტორი 6 წლის ვადით აირჩია.

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ინიციატივით, „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და არჩევნების ყველა სუბიექტს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. მემორანდუმი, რომელსაც ხელი 16 აპრილს მოეწერა, ითვალისწინებდა ყველა კანდიდატის „დაბალანსებულ, ობიექტურ და მიუკერძოებელ“ გაშუქებას და საინფორმაციო გამოშვებებში ცალ-ცალკე რუბრიკებად „საარჩევნო ქრონიკისა“ და „ოფიციალური ქრონიკის“ გამოყოფას. „საარჩევნო ქრონიკაში“ შუქდებოდა ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ღონისძიება. „ოფიციალურ ქრონიკაში“ კი, აქცენტი სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობაზე კეთდებოდა. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს

³¹ კანონი მაუწყებლის შესახებ, მუხლი 71-74.

³² სანქციები შეიძლება მოიცავდეს გაფრთხილების მიცემას, ფინანსურ ჯარიმას ან ლიცენზიის შეჩერებას.

შორის კვირაში ორჯერ (21 აპრილიდან 20 მაისამდე) სატელევიზიო დებატების გამართვა დაიწყო. მან ასევე გამოიყო საეთერო დრო თითოეულ პარტიასა და ბლოკს საარჩევნო პროგრამის უფასოდ წარსადგენად (კვირაში სამჯერ) გადაცემა „დღის კომენტარის“ ფარგლებში. ამასთანავე, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მოაწყო ყოველკვირეული თოქ შოუ სახელწოდებით „მონიტორი“, რომელშიდაც მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვები მედიის მიერ არჩევნების გაშუქებას იხილავდნენ.

დ. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგი

10 აპრილიდან 2008 წლის 20 მაისამდე OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ ხუთი ტელეკომპანიისა³³ და ოთხი ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთის³⁴ მონიტორინგი განახორციელა. მედიამონიტორინგი მოიცავდა გაშუქების რიცხვობრივ და ხარისხობრივ ანალიზს, აფასებდა თითოეული კანდიდატისათვის გამოყოფილ როგორც დროის, ისე სივრცის რაოდენობასა და გაშუქების ტონს.

მედია ზოგადად აზრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რამაც ამომრჩევლებს საშუალება მისცა, არჩევნების დღეს უფრო ინფორმირებული არჩევანი გაეკეთებინათ. კერძოდ, „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ამომრჩევლებს მისცა შანსი, ერთმანეთისთვის შეედარებინა პარტიები და კანდიდატები თოქ შოუების, უფასო პრეზენტაციების, საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებული ახალი ამბებისა და სატელევიზიო დებატების საშუალებით, მათ შორის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „გაერთიანებულ ოპოზიციას“ შორის გამართული დებატებით. კერძო მაუწყებლებმა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მონაწილეობით ასევე გამართეს თოქ შოუები და ამით მათ კანდიდატების წარდგენის საშუალება მისცეს.

თუმცა, სატელევიზიო ახალ ამბებში საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას არ იყო დაცული ბალანსი იმ ტელეკომპანიების უმეტესობაში, რომელთა მონიტორინგიც OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ განახორციელა. თითქმის ყველა ტელეარხზე საეთერო დროის უმეტესი ნაწილი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა. ამ მხრივ გამონაკლისს „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ წარმოადგენდა. იმ ტელეკომპანიათა უმეტესობამ, რომელთა მონიტორინგსაც მისია ახორციელებდა, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჩათვლით, ხელისუფლების ღონისძიებებს ხანგრძლივი და კეთილგანწყობილი სიუჟეტები მიუძღვნა. მაგალითად, ოთხმა ძირითადმა ტელეარხმა ყველაზე რეიტინგული დროის საინფორმაციო გამოშვებებში 22-წუთიანი პირდაპირი ჩართვა განახორციელა ქუთაისში პრეზიდენტის, მინისტრთა კაბინეტისა და რეგიონის ოფიციალური პირების შეხვედრის გასაშუქებლად. მსგავსი ხანგრძლივი გაშუქება გასცდა საჭიროებას და მოვალეობას მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მთავრობის საქმიანობების შესახებ.

³³ 1 არხი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), „რუსთავი 2“, „ტელეკომპანია მზე“, „ტელეკომპანია აჭარა“ და „ტელეკომპანია კავკასია“.

³⁴ „რეზონანსი“, „24 საათი“, „ალია“ და „კვირის პალიტრა“.

პრეზიდენტის, მინისტრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გაშუქება ცერემონიული ხასიითის ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა ავტობუსის ახალი ხაზის გახსნა, ფეხბურთის მოედნის, გზისა თუ საწარმოს გახსნა, ან კიდევ ვაუჩერების, კომპიუტერებისა და საჩუქრების დარიგება, რომელსაც ხშირად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები ესწრებოდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიას არაპირდაპირი სარგებელი მოუტანა.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ყველაზე რეიტინგული დროის პოლიტიკურ და საარჩევნო საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო დაუთმო „გაერთიანებულ ოპოზიციას“ (18%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ (17%). მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის გაშუქების ტონალობა უაღრესად პოზიტიური იყო, ძირითადი ოპოზიციური ბლოკი ძირითადად ნეიტრალური ტონალობით გაშუქდა. გაშუქების მეტი წილი პრეზიდენტსა და მთავრობაზე მოდიოდა (ერთად 32%) და უაღრესად პოზიტიური ტონალობით ხასიათდებოდა.

„რუსთავი 2-მა“ და „მზემ“ სახელმწიფო თანამდებობის პირებს ვრცელი და კეთილგანწყობილი სიუჟეტები მიუძღვნა. ბოიკოტის მოხსნის შემდეგ, ორივე ტელეკომპანიამ თავიანთ საინფორმაციო გამოშვებებში დაიწყო მთავარი ოპოზიციური ბლოკის გაშუქება, თუმცა მთავრობისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქება აჭარბებდა ოპოზიციისადმი მიძღვნილი სიუჟეტების რაოდენობას. მაგალითად, ტელეკომპანია „მზე“ შაბათ-კვირას გადასცემდა 10-წუთიან გადაცემას თბილისში მიმდინარე ახალი ამბების შესახებ სახელწოდებით „მზერა თბილისი“ (თბილისის საქალაქო ადმინისტრაციის დაფინანსებით), რომელიც უმეტესწილად აშუქებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს, რომლებიც კენჭს იყრიდნენ თბილისის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა კანდიდატებზე იმავე საარჩევნო ოლქებში. ტელეკომპანია „აჭარამ“ მსგავს მიდგომას მიმართა. აღნიშნული ტელეკომპანიებისგან განსხვავებით ტელეკომპანია „კავკასია“ ოპოზიციის პლატფორმას წარმოადგენდა. მან საარჩევნო კამპანიის გაშუქებისთვის გამოყოფილი საეთერო დროის დიდი ნაწილი „გაერთიანებულ ოპოზიციას“ დაუთმო და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ წარმოებულმა ბეჭდური მედიის მონიტორინგმა აზრთა სხვადასხვაობა აჩვენა. თუ „24 საათი“ უფრო ხელისუფლების მხარეს იხრებოდა, „რეზონანსი“, „ალია“ და „კვირის პალიტრა“ მხარდაჭერას ძირითადი ოპოზიციური ბლოკის მიმართ გამოხატავდა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და მთავრობას აკრიტიკებდა.

X. ქალთა მონაწილეობა

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი სტატუსი.³⁵ თუმცა არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც ქალებს გენდერული დისკრიმინაციისგან დაიცავდა. 2006 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ“, რაც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარი და ეფექტური განხორციელებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. მაგრამ, ვინაიდან მას არ აქვს კანონის ძალა, კონცეფცია მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც მთავრობის აღმასრულებელი შტოსთვის პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრავს.

2008 წლის მაისში „საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ“ საარჩევნო კოდექსში ცვლილების შესატანად დაახლოებით 32,000 ხელმოწერა წარმოადგინა, რომლითაც იგი პარტიისა და საარჩევნო ბლოკის სიებში სავალდებულო კვოტის შემოღების ინიციატივით გამოდიოდა. აღნიშნულ ინიციატივას სავარაუდოდ ახალი მოწვევის პარლამენტი განიხილავს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები საქართველოს მოსახლეობის 53%-ს შეადგენენ³⁶, ეს არჩევნები ჩატარდა ისეთ გარემოში, როდესაც საჯარო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ცოტა ქალს ეკავა წამყვანი თანამდებობები. ბოლო მოწვევის პარლამენტში დეპუტატთა მხოლოდ 9 პროცენტი იყო ქალი, ხელისუფლებაში კი, 17 მინისტრიდან მხოლოდ 3 იყო ქალი.

ქალი კანდიდატები ასპარეზზე ნაკლებად ჩანდნენ, მხოლოდ რამდენიმე ქალმა კანდიდატმა აწარმოა შესამჩნევი სარჩევნო კამპანია. ხუთმა პარტიამ და ბლოკმა, რომლებმაც ახალი მოწვევის პარლამენტში მანდატები მოიპოვეს, თავიანთ პროპორციულ სიებში 21 პროცენტი ქალებს დაუთმო, თუმცა არც-ერთს არ ყოლია ერთ ქალზე მეტი სიის პირველ ათ კანდიდატს შორის. ჯამში, არჩეულ იქნა 9 ქალი - 6 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, 2 „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ და 1 „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობიდან“.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალები მმართველ პოზიციებზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. ცესკო-ს 13 წევრიდან მხოლოდ ერთი იყო ქალი. საოლქო საარჩევნო კომისიებში 76 თავმჯდომარიდან ქალი მხოლოდ 15 იყო. კენჭისყრის დღეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთაგან 40% იყო ქალი, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთაგან კი - 66%.

³⁵ კონსტიტუციის 14-ე მუხლი ადგენს: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

³⁶ საქართველოს 2007 წლის სტატისტიკური წელიწდეული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

XI. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

საქართველოში ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16.2 პროცენტს შეადგენს.³⁷ ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.5 %) და სომხები (5.7%), რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ცხოვრობენ. სხვა ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ რუსები, ოსები, ბერძნები, ჩეჩნები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. ასევე არიან ბოშებიც, მაგრამ ისინი ოფიციალურად არ არიან აღიარებული, როგორც უმცირესობა. მათი რაოდენობაც გაურკვეველია.

ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ სრული პოლიტიკური უფლებები, მათ შორის უფლება „გამოიყენონ თავიანთი მშობლიური ენა როგორც კერძოდ, ისე საზოგადოებრივად“. საქართველო შეუერთდა ყველა ძირითად ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციას. კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებები პირდაპირ გამოიყენება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში და და უპირატესობა ენიჭება კანონმდებლობის ნებისმიერ შეუთავსებელ ნაწილთან, კონსტიტუციის გარდა. თუმცა, საქართველოში არ არის ყოვლისმომცველი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ეროვნული უმცირესობების უფლებების დასაცავად და ხელშესაწყობად.³⁸ მას ასევე არ მიუღია რაიმე სპეციალური ზომები პოლიტიკაში ეროვნული უმცირესობების ეფექტური მონაწილეობისა და წარმომადგენლობის ხელშესაწყობად.

საარჩევნო კამპანიისას ეროვნული უმცირესობების საკითხები და ერებს შორის ურთიერთობები წინ არ არის წამოწეული. საარჩევნო კამპანიის ენა არ იზღუდებოდა და უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ეროვნული უმცირესობების ენები პარტიებისა და კანდიდატების მიერ ფართოდ გამოიყენებოდა. სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ყველაზე აქტიური იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ოპოზიციური ძალები მცირე კამპანიას ატარებდნენ ამ რეგიონებში, ამის მიზეზად სახსრების ნაკლებობას და ხელისუფლების მიერ შექმნილ ბარიერებს ასახელებდნენ. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანიის პერიოდში სამცხე-ჯავახეთს და ქვემო ქართლს რამდენიმე ოპოზიციური ლიდერი ესტუმრა.

პარტიებისა და ბლოკების უმეტესობამ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატი დაასახელა. სახალხო მოძრაობა „მრავალეთნიკური საქართველოს“³⁹ მიხედვით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ პროპორციულ სიაში 10 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ყავდა, რამდენიმე მათგანი სიის სათავეშიც იყო⁴⁰. „გაერთიანებულ ოპოზიციას“ სიაში ეროვნული უმცირესობის 6 წარმომადგენელი

³⁷ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, რომელშიც არ შედიოდა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

³⁸ მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ აიღო ვალდებულება მიეღო კანონი ეროვნული უმცირესობების შესახებ, როდესაც იგი 1999 წელს ევროპის საბჭოს შეუერთდა.

³⁹ „მრავალეთნიკური საქართველო“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 20-ზე მეტ ეთნიკური უმცირესობის თემებზე მომუშავე ორგანიზაციას აერთიანებს.

⁴⁰ 29-ე, 31-ე, 50-ე, 64-ე და 66-ე ადგილას.

ყავდა⁴¹, „რესპუბლიკელებს“ - 5⁴², „ლეიბორისტულ პარტიას“ - 1⁴³. „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ სიაში ეროვნული უმცირესობის არც ერთი წარმომადგენელი არ შეიყვანა. რამდენიმე პარტიამ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინა იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ.⁴⁴ არჩეულ იქნა ეროვნული უმცირესობის მხოლოდ 6 წარმომადგენელი, ყველა მათგანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ იყო.⁴⁵

ცესკო-მ საარჩევნო მასალები ეროვნული უმცირესობის 5 ენაზე - სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და რუსულ ენებზე დაამზადა. აღნიშნული მასალები მიეწოდა საუბნო საარჩევნო კომისიებს საოლქო საარჩევნო კომისიების მოთხოვნის საფუძველზე და მოიცავდა საარჩევნო ბიულეტენებს, საარჩევნო კოდექსს, ოქმებს, საუბნო საარჩევნო კომისიის ინსტრუქციებს, ამომრჩეველთა ბარათებს, ინფორმაციას ამომრჩეველებისთვის და ტრენინგის სახელმძღვანელოებს. საუბნო საარჩევნო კომისიათა უმეტესობას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ჩაუტარდა ტრენინგი რუსულ და აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. ცესკო-მ ასევე დაამზადა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალები უმცირესობების ენებზე, რომლებიც ფართოდ დარიგდა უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში. კენჭისყრის დღეს უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ამომრჩეველთა სიები ხელმისაწვდომი იყო უმცირესობების ენებზე. ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმების პერიოდში გამოკრული სიები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი, რომელიც განსხვავებული ანბანის გამო, ეროვნული უმცირესობის ბევრმა წარმომადგენელმა ვერ წაიკითხა. არანაირი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი ყველა დონეზე საარჩევნო კომისიების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ.

XII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება აქტიურობით გამოირჩევა. არსებობს რამდენიმე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული არჩევნებზე დაკვირვების განხორციელებაში. საქართველოს ხელისუფლებამ ასევე მოიწვია საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ფართო სპექტრი. საარჩევნო კოდექსის დებულებები ადგილობრივი მიუკერძოებელი დამკვირვებლების თაობაზე შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო დამკვირვებლების თაობაზე არსებულ დებულებებთან. ახლა ისინი ნათლად განსაზღვრავენ ადგილობრივი დამკვირვებლების უფლებას, აწარმოონ დაკვირვება საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე.

⁴¹ სიაში ყველაზე პირველი ადგილი იყო 85.

⁴² 9-ე, 15-ე, 31-ე, 60-ე და 68-ე ადგილებზე.

⁴³ სიაში 153-ე ადგილას.

⁴⁴ მაგალითად მარნეულში ხუთი კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ და „რესპუბლიკელებიდან“ ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო. ნინოწმინდაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „გაერთიანებული ოპოზიციისა“ და „რესპუბლიკელების“ ყველა კანდიდატი ეთნიკური სომეხი იყო.

⁴⁵ სამი იქნა არჩეული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციული სიიდან, სამი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციის ვადა არჩევნებამდე 30 დღიდან 10 დღემდე შემცირდა. თუმცა, საარჩევნო კოდექსი დამკვირვებელ ორგანიზაციებს არ აძლევს საშუალებას, შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში შესწორებები შეიტანონ თავიანთ განცხადებებში.

ცესკო-მ 37 ადგილობრივი და 46 საერთაშორისო ორგანიზაცია დაარეგისტრირა, ასევე 17 საელჩო. ძირითადი ადგილობრივი სადამკვირვებო ორგანიზაციები იყო: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ არჩევნებზე გრძელვადიანი დაკვირვება განახორციელეს. საპარლამენტო არჩევნებისთვის ბევრმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა აიყვანა თავიანთი დამკვირვებლები დიდ ქალაქებიდან, რომლებიც შემდეგ დაშინებისა და ზეწოლის შემთხვევების შემცირების მიზნით სხვა ადგილებში განათავსა. თუმცა OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლება ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების დაშინებისა და ზეწოლის მრავალი ფაქტი დააფიქსირეს. ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების მსვლელობისას ადგილი ჰქონდა ასევე დემოკრატიული, არაპარტიული დამკვირვებლების საარჩევნო უბნებიდან ან საოლქო საარჩევნო კომისიებიდან გამოძევებას.⁴⁶

ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებლის მიუკერძოებლობა, საარჩევნო პროცედურების ცოდნა და ჩაურევლობის პრინციპის დაცვა ზოგჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა. სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია თვითმხილველი გახდა იმისა, თუ როგორ ატარებდა სხვადასხვა დამკვირვებელი ყალბ აკრედიტაციას. ზოგჯერ ისინი არც მალავდნენ თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებსა და მიკუთვნებულობას.⁴⁷

XIII. არჩევნების დღემდე შესული საჩივრები და განცხადებები

ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა არ გამოხატეს საკმარისი ნება სერიოზულად და მიუკერძოებლად განეხილათ საჩივრები და განცხადებები. ისინი უმეტესწილად სათანადოდ არ განიხილავდნენ საჩივრებსა და განცხადებებს და მმართველი პარტიისა და საჯარო მოხელეების მიმართ აშკარა მიკერძოებას იჩენდნენ. ზოგჯერ ისინი უარს აცხადებდნენ მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე ან დოკუმენტირებული მტკიცებულების ნახვაზე, ვერ ახერხებდნენ ყველა სათანადო ფაქტის განხილვას, მიმართავდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას, უგულებელყოფდნენ კანონის

⁴⁶ სიღნაღის, მცხეთის, ხაშურის, ლაგოდეხისა და გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიები.

⁴⁷ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, თუ როგორ ასაღებდნენ თავს ადგილობრივი ორგანიზაცია „რაციო ლევის“ წარმომადგენლები ცესკო-ს წარმომადგენლებად და როგორ ერეოდნენ ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში. „რაციო ლევი“ განალაგა დამკვირვებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა არჩევნების დღეს, თუმცა ისინი საერთოდ არ ჩანდნენ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ.

არსს, ან ვერ იძლეოდნენ სრულყოფილ და მკაფიო ფაქტობრივ და სამართლებრივ არგუმენტაციას. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ OSCE/ODIHR-ის შუალედურ ანგარიშთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ სასამართლო არასდროს არ უნდა ყოფილიყო კრიტიკის საგანი. პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში კომისიის წევრები ხმას პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აძლევენ, არაოპოზიციის მიერ დანიშნული წევრები ხმას მმართველი პარტიის სასარგებლოდ აძლევენ.⁴⁸ ოპოზიციის მიერ შეტანილ ერთ საქმესთან დაკავშირებით, მოსამართლემ დაუფარავად მოახდინა სასამართლოში საკითხის პოლიტიზირება, შეეკითხა რა ცესკო-ს იურისტს, თუ რომელი პარტიის მიერ იყო დანიშნული ის ცესკო-ს წევრი, რომლის მიერაც იქნა ინიცირებული განსახილველი დადგენილება.

საარჩევნო კომისიები არ განიხილავდნენ და არ აანალიზებდნენ საჩივრებს სიღრმისეულად, სისტემატურად და სამართლებრივად. მომჩივნებს მტკიცებულებების წარსადგენად სათანადოდ მომზადების საშუალება არ ჰქონდათ. ხშირად მტკიცებულებათა წარდგენა მოპასუხეების არყოფნისას ხდებოდა. გადაწყვეტილებებს ფაქტობრივად და სამართლებრივად თითქმის არასდროს ასაბუთებდნენ. უფრო მეტიც, ცესკო-მ არ შექმნა საკმარისი სტანდარტული სამუშაო პროცედურები, ადმინისტრაციის მიერ საჩივრების შიდა განხილვისა და გადაწყვეტისთვის, რომელიც უნდა შეიცავდეს მთელ რიგ პროცედურულ გარანტიებს, ასევე უფლებას, მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა არგუმენტაციას ეფუძნება გადაწყვეტილება.⁴⁹

მიუხედავად იმისა, რომ საჩივრებთან და განცხადებებთან დაკავშირებული პროცედურები ბოლო დროს გამარტივდა და გარკვეულწილად გასაგები გახდა, ისინი კვლავ ზედმეტად რთული, წინააღმდეგობრივი და ორაზროვანია. ეს გარემოება იწვევდა მომჩივნებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა დაბნეულობას და აფერხებდა განხილვის პროცესს. საჩივართა მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვა არ მომხდარა პროცედურული მიზეზის გამო, მაგალითად, როგორცაა არაუფლებამოსილი მომჩივანი ან საჩივლის შეტანა ისეთ ორგანოში, რომელსაც საქმის განხილვის იურისდიქცია არ გააჩნია.. ხმების მოსყიდვის თაობაზე საჩივრის შეტანის პროცედურები განსაკუთრებით გაუგებარი იყო, რის გამოც შესული თერთმეტივე საჩივარი კომისიებმა განუხილველი დატოვა.⁵⁰ კანონში ასევე გაუგებარია, თუ რა სახის რეგირება შეიძლება მოახდინონ სასამართლო ორგანოებმა და რომელ ორგანოს აქვს უფლებამ რეგისტრაცია გაუუქმოს კანდიდატს ან პოლიტიკურ გაერთიანებას და რა გარემოებებში შეუძლია ამის გაკეთება. თანამშრომლობა ცესკო-სა და სასამართლოებს,

⁴⁸ მუხლი 19(3) განსაზღვრავს, რომ საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი და იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

⁴⁹ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია აღიარებს, რომ მოგვიანებით საარჩევნო პროცესის მსვლელობისას ცესკო შეეცადა გაეუმჯობესებინა თავისი ნორმები საჩივრებთან და განცხადებებთან მიმართებაში.

⁵⁰ ერთ შემთხვევაში ცესკო-მ, თავისი იურისტის რჩევით, ხმების მოსყიდვის საქმესთან დაკავშირებით მართლმსაჯულების შესრულებაზე უარი განაცხადა და სასამართლოში, იმავე საქმესთან მიმართებაში, ცესკო-ს იურისტმა განაცხადა, რომ ცესკო-ს ჰქონდა ამის იურისდიქცია და არა სასამართლოს.

პოლიტიკურ გაერთიანებებსა და ადგილობრივ დამკვირვებლებს შორის საჩივრებისა და განცხადებების პროცედურებზე ერთიანი აზრის მიღწევისათვის არასაკმარისად შეთანხმებული აღმოჩნდა.

საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადა უკანასკნელი ცვლილებების შედეგად ძალიან შემცირდა. იგი თავისთავად ძალიან მცირეა (1-2 კალენდარული დღე) იმისათვის, რომ ბოლომდე იქნეს უზრუნველყოფილი საქმის განხილვის შეჯიბრებითობა და საქმის ჯეროვანი განხილვა, რაც საარჩევნო მოკლე პერიოდში⁵¹ კი, არის აუცილებელი. ცესკოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ერთდღიანი ვადა ჯეროვანი პროცესის უზრუნველსაყოფად ძალიან მცირე იყო. რეალურად, მომჩივნები, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირები ყოველთვის ვერ ეტეოდნენ მჭიდრო ვადებში, ან კიდევ ვადების დაცვას ჯეროვან განხილვის დათმობის გარეშე ვერ ახერხებდნენ⁵².

სასამართლოში სარჩელის შეტანისთვის დაწესებული შედარებით მაღალი ბაჟი, საჩივრებისა და განცხადებების შეტანისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა⁵³. კანონი არ აძლევს უფლებას კერძო პირს, შეიტანოს საჩივარი საარჩევნო ადმინისტრაციასა თუ სასამართლოში საარჩევნო კანონის დარღვევის ან საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ⁵⁴. მომჩივნებს, განსაკუთრებით რეგიონებში, ზოგჯერ არ გააჩნდათ სრულყოფილი საჩივრების მომზადებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში შესული საჩივრები და განცხადებები, რომლებიც ძირითადად ოპოზიციურმა პარტიებმა და დამკვირვებლებმა შეიტანეს (მხოლოდ ერთი შეიტანა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“) ძირითადად საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს უკავშირდებოდა. მათი გარკვეული ნაწილი საარჩევნო დარღვევებს შეეხებოდა⁵⁵. წინასაარჩევნო პერიოდში სამართალდამცავმა სტრუქტურებმა არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის 50-ზე მეტი საქმის გამოძიება დაიწყეს.⁵⁶ თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა დონეზე ვერ შეძლო შეესრულებინა მისი ფართო სამართლებრივი უფლებამოსილება, უზრუნველყო საარჩევნო კანონის აღსრულება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მან, თავისი ინიციატივით, საკუთარ თავზე არ აიღო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების კანონიერების შემოწმება,

⁵¹ ასევე პრობლემური იყო ის საკითხი, რომ გასაჩივრების ვადა იწყება გადაწყვეტილების გამოტანიდან და არა მის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან.

⁵² მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეები ზეპირად აცხადებდნენ, რომ საარჩევნო პერიოდში თვითმხილველებისთვის დრო არ იყო.

⁵³ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის შეტანისთვის დაწესებული ბაჟი შეადგენს 100 ლარს, სააპელაციო სასამართლოში კი - 150 ლარს (დაახლოებით 45 ევრო და 70 ევრო).

⁵⁴ გარდა იმ განცხადებებისა, რომლებიც მოითხოვდნენ ამომრჩეველთა სიებში სახელის შეყვანას ან შესწორებას არჩევნების დღემდე.

⁵⁵ არჩევნებამდე შესული საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა დაახლოებით შეადგენდა შემდეგს: საოლქო საარჩევნო კომისიებში – 69, ცესკო-ში – 27, თბილისის საქალაქო სასამართლოში – 32, სხვა საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში – 8, თბილისის სააპელაციო სასამართლოში – 15, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში – 4, და საკონსტიტუციო სასამართლოში – 2.

⁵⁶ ეს უკავშირდება ფიზიკურ შეურაცხყოფას, მუქარას, დაშინებას, საკუთრების დაზიანებას, ქურდობას, მოქრთამვას და საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევას.

საარჩევნო დარღვევების გამოძიება და გადაწყვეტა, ასევე ხმების მოსყიდვის თაობაზე სასამართლოში საქმის შეტანა⁵⁷. როგორც ჩანს, სასამართლო სისტემა იყენებს ერთიან მიდგომას იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო კანონი და მისი ინტერპრეტაცია უნდა იძლეოდეს განსახილველად დასაშვები საჩივრების რაოდენობის შემცირების საშუალებას, რათა სასამართლოები ზედმეტად არ გადაიტვიტონ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ცესკო-ს გადაწყვეტილების (განკარგულების არმიღებასთან დაკავშირებით) წინააღმდეგ, სასამართლოში შეტანილი სარჩელის განხილვისას, ცესკო-ს იურისტმა არ დაიცვა ცესკო, როგორც კოლეგიალური ორგანო, და ლოიალურობა გამოიჩინა მხოლოდ მისი არაოპოზიციური წევრებისადმი, რომლებმაც ხმა განკარგულების სასარგებლოდ მისცეს⁵⁸. სასამართლოში, ცესკო-ს გადაწყვეტილების დასაცავად არგუმენტების ვერ წარმოდგენის გამო, იურისტმა უბრალოდ განაცხადა, რომ ცესკო-ს წევრებს აქვთ უფლება საჩივრებზე ხმა საკუთარი „შინაგანი რწმენის“ მიხედვით მისცენ და რომ ისინი არ არიან კანონით ვალდებული. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქმე მოიგო, რომელიც მისი ერთადერთი საჩივარი იყო. სამაგიეროდ, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და ოპოზიციური პარტიების მიერ საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების წინააღმდეგ შეტანილი თითქმის ყველა საჩივარი წარუმატებელი აღმოჩნდა და საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებული მათი არც-ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილებულა. ოპოზიციური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ შეტანილი საქმეების განხილვისას ცესკო-ს იურისტებმა, რომლებიც პროფესიონალიზმის ნიშნით უნდა ყოფილიყვნენ აყვანილი სამსახურში ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ, თავგამოდებით, დაუსაბუთებელი იურიდიული დასკვნის მეშვეობით დაიცვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების, საჯარო მოხელეებისა და ხელისუფლების მიერ დანიშნული ცესკო-ს წევრების ქმედებები.

სამმა ოპოზიციურმა პარტიამ შეიტანა საჩივარი სასამართლოში, რომლითაც ცესკო-ს მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით გამოცემული განკარგულების ბათილად ცნობას მოითხოვდნენ. საჩივარში ისინი აცხადებდნენ, რომ სია სამართლებრივი პროცედურების დაცვით არ იყო შეტანილი. მომჩივანთა შემოთავაზებაზე, მოეყვანათ მოწმეები ბრალდების დასადასტურებლად, მოსამართლეებმა უარი განაცხადეს⁵⁹, რის მიზეზადაც შემდეგი გაუმართლებელი გარემოებები მოიყვანეს: დროის ნაკლებობა საარჩევნო პერიოდში და მოწმეთა ჩვენების უსარგებლობა ასევე ის, რომ ცესკო-ს სხდომის ოქმს თან არ ერთვოდა

⁵⁷ აღნიშნული პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები მოცემულია მუხლ 29(1)(ა) და (ბ), 34(2)(ა) და (ვ), და 77.1(15). ბოლო მუხლი უფლებას აძლევს საარჩევნო კომისიებს საკუთარი ინიციატივით შეიტანონ სასამართლოში სარჩელი ხმის მოსყიდვის თაობაზე.

⁵⁸ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეჭვქვეშ დააყენა ცესკო-ს გადაწყვეტილება, რომელიც მხარს არ უჭერდა განკარგულებას, უფლება მიეცა ზემო აფხაზეთის ამომრჩევლებისთვის, ხმა მიეცათ მაჟორიტარი კანდიდატისთვის მესტიის რაიონში, რადგან საარჩევნო კოდექსის მუხლი 15.1 მიხედვით ზემო აფხაზეთის ოლქს არ აქვს უფლება ყავდეს თავისი მაჟორიტარი კანდიდატი.

⁵⁹ მომჩივანთა პეტიცია თვითმიხილველად სხვებთან ერთად მოეწვიათ ცესკო-ს თავმჯდომარე, ცესკო-ს რეგისტრაციაზე მომუშავე თანამშრომლები და საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები.

ცესკო-ს ოპოზიციის მიერ დანიშნული არც ერთი წევრის განსხვავებული აზრი⁶⁰. შემდეგ კი, სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ მომჩივნებს „უნდა წარმოედგინათ სათანადო მტკიცებულება იმისათვის, რომ დადასტურებულიყო სარჩელში მოცემული გარემოებები, რაც მათ არ გააკეთეს“.

ადგილობრივმა დამკვირვებლებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ბევრი საჩივარი შეიტანეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების მიერ ხმების მოსყიდვისა და საჯარო მოსამსახურეების მიერ კამპანიის წარმოების თაობაზე. არც ერთი მათგანი საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა არ დააკმაყოფილა. შესაბამისი სამართლებრივი დებულებების ფართო ინტერპრეტაციით, რომელიც უგულბელყოფდა კანონის როგორც ფორმალურ, ისე არსებით მხარეს, სასამართლოებმა ხელიდან გაუშვეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა განემტკიცებინათ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი სტანდარტები. მათ მისცეს სრული თავისუფლება კანდიდატებსა და საარჩევნო კამპანიაში ჩართულ პირებს, რათა ხმების მოსყიდვის გზით ამომრჩევლებზე გაუმართლებელი ზემოქმედება მოეხდინათ; ასევე სრულ თავისუფლებას იძლეოდა იმისათვის, რომ ერთმანეთს დამთხვეოდა საარჩევნო ღონისძიებები და სამთავრობო ინიციატივები და, რომ საჯარო მოხელეებს ერთმანეთში შეერიათ თანამდებობრივი მოვალეობები და საარჩევნო ღონისძიებები. შედეგად, შეიქმნა არათანაბარი საარჩევნო პირობები, რამაც ხელისუფლება მომგებიან პოზიციაში ჩააყენა და ბუნდოვანი გახადა განსხვავება სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის.

სასამართლომ ერთ საქმესთან მიმართებაში მიიჩნია, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას საჯარო მოსამსახურეებს მხოლოდ ეკრძალებათ, პირდაპირ მოსთხოვონ მოქალაქეებს, ხმა მისცენ რომელიმე კანდიდატს. შესაბამისად, კანდიდატის საჯაროდ წარდგენა, ან საარჩევნო კამპანიის წარმოების სხვა ფორმა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას არ იყო აკრძალული. ერთი საქმესთან მიმართებაში, რომელიც შეეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ“ ხმების მოსყიდვას, სასამართლომ დასძინა, რომ მხოლოდ რეგისტრირებულ კანდიდატებსა და პარტიის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ხმების მოსყიდვა პოლიტიკური პარტიის სახელით, მაშინ, როდესაც სხვებს ამის უფლება ჰქონდათ. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მომავალ კანდიდატებს (რომლებიც ჯერ არ დარეგისტრირებულან, მაგრამ საჯაროდ გამოცხადდა, რომ არჩევნებში კენჭს იყრიან) არ ეკრძალებათ ხმების მოსყიდვა. სხვა საქმესთან მიმართებაში სასამართლოებმა განაცხადეს, რომ კანდიდატის მიერ ხმის მოსყიდვად ჩაითვლება, თუ ის თანხა ან საქონელი უშუალოდ იქნება დაფინანსებული კანდიდატის მიერ, კანდიდატი თვითონ გადასცემს საქონელს ან აშკარად დაავალებს სხვას ამის გაკეთებას; ან კიდევ უნდა დადასტურდეს, რომ

⁶⁰ საარჩევნო კოდექსის მუხლი 22(12) ადგენს, რომ საარჩევნო კომიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს. კომისიის წევრის დამოუკიდებელი, არაპარტიული სამართლებრივი ბუნება, როგორც ეს აღნიშნულია მუხლში 19(3), გულისხმობს, რომ განსხვავებული აზრის არარსებობა გავლენას არ ახდენს პოლიტიკური პირის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვაზე.

გადაცემის მიზანს ხმების მიღება წარმოადგენდა, ე.ი. მას თან უნდა ახლდეს აშკარა მოწოდება, ხმა მისცენ კანდიდატს და უნდა დადასტურდეს, რომ მატერიალური საგანი საკმარისად ფასიანი იყო იმისათვის, რომ პირი კანდიდატისთვის ხმის მიცემაში დაერწმუნებინა. კანდიდატის საჩუქრები ბავშვებისთვის ან მოსახლეობის ჯგუფებისთვის არ წარმოადგენდა ხმის მოსყიდვას.⁶¹ სასამართლომ უგულებელყო ის გარემოება, თუ როგორ შეიძლება აღექვა მოქალაქეებს საჩუქრის წყარო ან ფულისა თუ საქონლის დაპირება, ე.ი. დაიჯერეს თუ არა მათ, რომ საჩუქრები და დაპირებები კანდიდატის სახელით იყო.

სასამართლოებმა დააწესეს წარმოუდგენელი სტანდარტი ხმის მოსყიდვის დასამტკიცებლად. ერთ საქმესთან მიმართებაში ცესკო-ს იურისტმა უსაფუძვლო არგუმენტი წამოაყენა, განაცხადა რა, რომ რადგან ხმის მიცემა ფარულია, ხმის მოსყიდვა ვერასდროს დადასტურდება. მსგავსი ინტერპრეტაციები აუფასურებენ საარჩევნო კოდექსის მულს 73(5), 73(9)(ა) და 76 პრიმა 1, ქვეპუნქტი (1), რომლებიც უკრძალავს საჯარო მოსამსახურეებს საარჩევნო კამპანიის წარმოებას სამსახურებრივი მოვალეობების შესარულებსა და აშკარად კრძალავს ხმის მოსყიდვას.

საარჩევნო კოდექსში შესული ახალი დებულებები, რომლებიც საარჩევნო უბნების ოფიციალური ვიდეჩანაწერების გამოყენებას არეგულირებენ, ზედმეტად ზღუდავს მომჩივნებისათვის მათ ხელმისაწვდომობას და შესაბამისად დარღვევის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას. ეს კი, მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.⁶² არჩევნებამდე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რითაც ამ დებულების გაუქმება მოითხოვეს იმ საბაბით, რომ ის არღვევდა კონსტიტუციურ უფლებას ინფორმაციის თავისუფლებაზე. ვინაიდან სასამართლოს საქმის განსახილველად 9 თვემდე აქვს, ასევე გაიგზავნა პეტიცია, რომლითაც მოითხოვდნენ შუალედურ დაუყოვნებლივ გადაწყვეტილებას, რაც დაავალდებულებდა საარჩევნო ადმინისტრაციას უზრუნველყო მომჩივნებისთვის სრული ხელმისაწვდომობა ჩანაწერებზე არჩევნების შემდეგ. არჩევნების წინა დღეს სასამართლომ პეტიცია არ დააკმაყოფილა.

XIV. ხმის მიცემა და ხმების დათვლა

კენჭისყრის დღემ ზოგადად მშვიდობიან გარემოში ჩაიარა, თუმცა ზოგიერთ რეგიონში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმის მიცემის გარემო შეაფასეს როგორც დამაბული და პრობლემური. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა მიერ ხმების დათვლა და შეჯამება უფრო უარყოფითად შეფასდა. არჩევნების დამეს ცესკო-მ განაცხადა, რომ „სერიოზული

⁶¹ მუხლ 73(9)(ა)-ში მოცემული აკრძალვა ხმის მოსყიდვის თაობაზე ძალიან ფართოა და არ შეიცავს მინიმალურ მნიშვნელობას და არ ადგენს, რომ გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ პირზე ან მოზარდზე. უკანასკნელ ცლილებებში სიტყვა „ამომრჩევლები“ შეცვალა სიტყვამ „მოქალაქეები“.

⁶² მუხლი 129.8(10) ადგენს, რომ ვიდეოთვალის ჩანაწერი არ არის საჯარო ინფორმაცია და მხოლოდ 15-წუთიანი ინტერვალის ჩანაწერის გაცნობა კონკრეტული დროისა და დარღვევის მითითებით არის შესაძლებელი.

დარღვევების” გამო არჩევნები 13 საარჩევნო უბანზე ბათილად გამოცხადდა, რომელსაც მოგვიანებით კიდევ რამდენიმე საარჩევნო უბანი დაემატა.

ა. უბნების გახსნა და საარჩევნო პროცედურები

მონახულებული საარჩევნო უბნების 85 პროცენტზე უბნის გახსნის პროცედურები დადებითად შეფასდა. ნაკლები პრობლემები დაფიქსირდა ურბანულ ნაწილში. დაფიქსირებული პროცედურული დარღვევები გულისხმობდა იმას, რომ არ განხორციელდა ამომრჩეველთა რაოდენობის ოქმში გატარება (12 შემთხვევა, ან 8%), საარჩევნო ყუთების დალუქვა (7 შემთხვევა, 4%), ბეჭდების სერიული ნომრების ჩაწერა (10 შემთხვევა, 6%) და საკონტროლო ფურცლების საარჩევნო ყუთში ჩაყრა (2 შემთხვევა, 1%). უფლებამოსილების არმქონე პირთა არსებობა დაფიქსირდა იმ 14 საარჩევნო უბანზე, სადაც უბნის გახსნაზე დაკვირვება მოხდა (8%), მაგრამ აქედან მხოლოდ ოთხ შემთხვევაში ისინი აკონტროლებდნენ ან ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების 42 პროცენტზე უბნების დაგვიანებული გახსნა დააფიქსირეს, რომელთა უმეტესობა 30 წუთის დაგვიანებით გაიხსნა.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მონახულებული საარჩევნო უბნების 92 პროცენტზე ხმის მიცემის პროცესი შეაფასეს როგორც „კარგი” ან „ძალიან კარგი”. თუმცა რამდენიმე რეგიონში ხმის მიცემის პროცესი უფრო უარყოფითად შეფასდა, განსაკუთრებით კი, კახეთში (15 პროცენტი ცუდი ან ძალიან ცუდი), შიდა ქართლში (14%), სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში (12%) და ქვემო ქართლში (11%). სამაგიეროდ, აჭარაში, ხმის მიცემის პროცესის მხოლოდ 1 პროცენტი შეფასდა უარყოფითად. საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემის პროცედურის ცოდნა მონახულებული საარჩევნო უბნის უმეტესობაში დადებითად შეფასდა.

ყველაზე მასშტაბური პროცედურული დარღვევები შეეხებოდა მარკირების პროცედურას. მონახულებული საარჩევნო უბნების 11 პროცენტზე ამომრჩევლებს ყოველთვის არ ამოწმებდნენ მარკირების სითხის კვალის აღმოსაჩენად. უბანთა 9 პროცენტზე მარკირებას ყოველთვის არ იყენებდნენ.⁶³ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ხუთ საარჩევნო უბანზე უკვე მარკირებულ ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება მისცეს. სხვა დარღვევები შეეხებოდა საარჩევნო ყუთების არასათანადოდ დალუქვას (4%), ერთი შეხედვით იდენტურ ხელმოწერებს ამომრჩეველთა სიაში (2%), წარმომადგენლის მიერ და მრავალჯერად ხმის მიცემას (2-2%), ჯგუფურ ხმის მიცემას (5%) და ერთი და იმავე პირის მიერ ბევრი ამომრჩევლისთვის „დახმარების აღმოჩენას” (2%). არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ცამეტჯერ გახდნენ ბიულეტენების საარჩევნო ყუთებში ჩაყრის თვითმხილველნი. ცხრაჯერ დაფიქსირდა

⁶³ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთ საარჩევნო უბანში რთული იყო მარკირების შემოწმება, რადგან მკვეთრი მზის შუქი მის ხილვადობას ხელს უშლიდა.

სავარაუდო „კარუსელი“ ხმის მიცემისას. მონახულებული საარჩევნო უბნების 5 პროცენტზე ყველა ამომრჩეველი ბიულეტენს ფარულად არ ავსებდა.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ასევე დააფიქსირეს მოძრავი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, ერთიან და სპეციალურ საარჩევნო სიებში არ მოხდა იმ ამომრჩეველთა აღნიშვნა, რომლებმაც მოძრავი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა ითხოვეს (2%). საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ამომრჩეველთა სიის დანართი ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე დგება. ამომრჩეველთა სიის დანართში ამომრჩევლის შეყვანა ხდება მისი წერილობითი თხოვნის ან სატელეფონი ზარის მეშვეობით. დანართში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში ერთიან და სპეციალურ საარჩევნო სიებში კეთდება აღნიშვნა და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

ბევრ საარჩევნო უბანში, ამომრჩეველთა სიების დანართში შეყვანილი ამომრჩევლების რაოდენობა უჩვეულოდ მაღალი იყო. ეს მაჩვენებელი აღემატებოდა 10 პროცენტს მონახულებული საარჩევნო უბნების 10 პროცენტზე. სულ, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულ საარჩევნო უბნებში რეგისტრირებული ამომრჩევლის 4 პროცენტი იქნა შეყვანილი ამომრჩეველთა სიის დანართში.⁶⁴ რამდენიმე საარჩევნო უბანში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები თვითმხილველები გახდნენ იმ ფაქტისა, თუ როგორ მოდიოდნენ ამომრჩევლები იმის გასაგებად, შეყვანილნი იყვნენ თუ არა დანართში და არ იცოდნენ, რომ ზოგჯერ მათი სახელით სხვა პირებს ხმა უკვე ჰქონდათ მიცემული.

მონახულებული საარჩევნო უბნების 21 პროცენტზე ყველა ამომრჩეველმა თავი სიაში ვერ აღმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება საარჩევნო სიების დახვეწის საჭიროებაზე მიუთითებს, ასეთ ამომრჩეველთა რაოდენობა უჩვეულოდ ცოტა იყო. საარჩევნო უბნების 1 პროცენტზე ამომრჩევლებს შეუსაბამო მიზეზით უარი ეთქვათ ხმის მიცემის უფლებაზე. საარჩევნო ბიულეტენები უმცირესობათა ენებზე ზოგადად ხელმისაწვდომი იყო ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე.

კენჭისყრის ზოგადად დადებითად შეფასების მიუხედავად, მდგომარეობა საარჩევნო უბნების შიგნით და ირგვლივ ზოგჯერ პრობლემური იყო. დამაბულობა საარჩევნო უბნის შიგნით მონახულებული უბნების 6 პროცენტზე დაფიქსირდა, ხოლო დამაბულობა ან არეულობა მიმდებარე ტერიტორიაზე - 3 პროცენტზე. საარჩევნო უბნების 1 პროცენტზე ამომრჩეველთა, დამკვირვებელთა, წარმომადგენელთა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დაშინების ფაქტები აღინიშნა. 3 პროცენტზე დამკვირვებლებმა დაინახეს, თუ როგორ ცდილობდნენ პირები ამომრჩევლებზე ზემოქმედების მოხდენას. საარჩევნო მასალების არსებობა მონახული საარჩევნო უბნების შიგნით 3 პროცენტზე დაფიქსირდა.⁶⁵ არჩევნების საერთაშორისო

⁶⁴ ეს რიცხვი გაცილებით დაბალი იყო თბილისში (1.6%) ვიდრე ქვეყნის სხვა ნაწილში (5.2%).

⁶⁵ საარჩევნო კოდექსში, იმ ადგილებს შორის, სადაც საარჩევნო მასალების არსებობა არ არის დასაშვები, საარჩევნო უბნები კონკრეტულად არ არის ნახსენები.

სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს ხალხით გადაჭედილი საარჩევნო უბნების არსებობა ან ხმის მისაცემად გარეთ მყოფ ამომრჩეველთა გრძელი რიგები (6-6%).

ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებლები მონახულებული საარჩევნო უბნების 83 პროცენტზე იმყოფებოდნენ, წარმომადგენლები კი - 99 პროცენტზე. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა ფაქტები, როდესაც დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს თავიანთი საქმიანობის შესრულებაში ხელი ეშლებოდათ, ადგილი ჰქონდა მათ დაშინებას ან საარჩევნო უბნებიდან გაძევებას. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც დამკვირვებლები და წარმომადგენლები ამეტებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას, ეხმარებოდნენ ან ერეოდნენ პროცესში. უფლებამოსილების არმქონე პირების, ძირითადად პოლიციელებისა და პარტიის აქტივისტების არსებობა, დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 4 პროცენტზე. 16 შემთხვევაში ეს პირები ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობაში ან იძლეოდნენ მითითებებს.

მონახულებული საარჩევნო უბნების 12 პროცენტზე შევიდა ოფიციალური საჩივრები, რომელთა რაოდენობამ კენჭისყრის ბოლო საათებში იმატა. არასამთავრობო ორგანიზაციები და პარტიები აცხადებდნენ, რომ დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს ხელს უშლიდნენ საჩივრების შეტანაში. მისიამ 7 ამგვარი შემთხვევა თავად დააფიქსირა.

ბ. ხმების დათვლის პროცედურები

ხმების დათვლა კენჭისყრის პროცესთან შედარებით ნაკლებად დადებითად შეფასდა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა 22 პროცენტმა იგი შეაფასა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. პროცედურების დაცვა შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი 18 პროცენტში იმ უბნებისა, სადაც ხმათა დათვლის პროცესზე დაკვირვება განხორციელდა. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა და მათ მიერ პროცედურების ცოდნა ორივე უარყოფითად შეფასდა 17 პროცენტში. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების განცხადებით, 8 პროცენტში იმ უბნებისა, სადაც ხმების დათვლაზე დაკვირვება განხორციელდა, ხმების დათვლა არასაკმარისად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა 26 პროცენტზე იმ უბნებისა, სადაც ხმების დათვლის პროცესს დააკვირდნენ დააფიქსირეს მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები და გამოტოვებები. ხმათა დათვლის 5 პროცენტის შემთხვევაში მათ აღნიშნეს, რომ ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა სიის, არჩევნების შედეგების ან შემაჯამებელი ოქმების შეცვლის ფაქტებს. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ასევე დააფიქსირეს აშკარა გაყალბების 8 შემთხვევა. მათ ასევე აღნიშნეს ოთხი შემთხვევის თაობაზე, როდესაც საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა იყო დარღვეული, 7 შემთხვევა, როდესაც ლუქის

სერიული ნომერი არ შეესაბამებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ყუთების დალუქვისას გაკეთებულ ჩანაწერს. ასევე დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც საარჩევნო ყუთში ჩაყრილი საკონტროლო ფურცლები განსხვავდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახული მათი ასლებისგან.

საუბნო საარჩევნო კომისიათა დიდმა ნაწილმა (თითქმის ხუთში ერთმა) საარჩევნო ყუთების გახსნამდე არ განახორციელა შედარების ძირითადი პროცედურები, როგორცაა ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერათა ან გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობის დათვლა და ოქმებში შეტანა. სავალდებულო რიცხობრივი შესაბამისობის შემოწმება საარჩევნო ყუთების გახსნამდე და ხმების ბოლოს გამოტოვებული იყო ხმათა დათვლის 23 და, შესაბამისად, 14 პროცენტზე. საუბნო საარჩევნო კომისიათა დაახლოებით 37-მა პროცენტმა ხმების დათვლის სხვადასხვა ეტაპი საჭირო წესის დაცვით არ გაიარა.

საარჩევნო უბნების 38 პროცენტზე, სადაც განხორციელდა ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება, ამომრჩეველთა მიერ გაკეთებული არჩევანი ხმების დათვლისას ხმამაღლა არ ცხადდებოდა. რამდენიმე კერძო შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს არ მისცეს ბიულეტენების შემოწმების ნება, რაც კანონის დარღვევაა. ბიულეტენების ბათილობის დადგენა ყოველთვის გონივრულად და თანმიმდევრულად არ ხდებოდა (უბნების 6 და შესაბამისად 7 პროცენტზე, სადაც ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება განხორციელდა). 15 საარჩევნო უბანში, სადაც დაკვირვება განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიამ არ გამოაცხადა და არ შეიტანა ოქმში ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.

პარტიის წარმომადგენლები ხმების დათვლის პროცესს ესწრებოდნენ 94 პროცენტზე იმ უბნებისა, სადაც დაკვირვება განხორციელდა. ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებლები კი - 77 პროცენტზე. უფლებამოსილების არმქონე პირთა არსებობა ხმათა დათვლის 12 პროცენტზე დაფიქსირდა. 18 პროცენტზე იმ უბნებისა, სადაც ხმათა დათვლის პროცესზე დაკვირვება განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიის არაწევრები მონაწილეობდნენ პროცესში.

საუბნო საარჩევნო კომისიათა 25 პროცენტს ჰქონდა პრობლემა კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შევსებასთან დაკავშირებით. ხმათა დათვლის 17 პროცენტზე საუბნო საარჩევნო კომისიებმა ოქმებში ადრე შეტანილი მონაცემები ზოგჯერ შესწორების ოქმის შევსების გარეშე შეასწორეს, რომლის შევსებასაც კანონი ითხოვს. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა 14 შემთხვევა, როდესაც ოქმები წინასწარ იყო ხელმოწერილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ. უფლებამოსილი პირები თითქმის ყველა შემთხვევაში იღებდნენ ოქმის ასლებს მაგრამ თითქმის ყოველი სამი საუბნო საარჩევნო კომისიიდან ერთს არ გამოუკრავს ოქმების ასლები საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილას, როგორც ამას კანონი ითხოვს. რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისიამ არ მიაწოდა საარჩევნო მასალები პირდაპირ საოლქო საარჩევნო კომისიას, როგორც ეს მოეთხოვებოდათ. ერთ შემთხვევაში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ მასალები ჯერ წაიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ ოფისში და მხოლოდ ამის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

XV. ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხმების შეჯამების პროცესს 76 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 73-ში დააკვირდნენ და 2,500 ოქმის დამუშავებას დაესწრნენ. ხმების შეჯამების პროცესი 16 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითად შეფასდა, 9 პროცენტში აღინიშნა პროცესის არასაკმარისი გამჭვირვალობა. უფლებამოსილების არმქონე პირთა დასწრება მონახულეული ოლქებიდან 10 პროცენტში დაფიქსირდა. 8 პროცენტში საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ოქმების შევსება საოლქო საარჩევნო კომისიის შენობებში აღინიშნა. 15 პროცენტის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებში მიტანილი საარჩევნო მასალები არ იყო დალუქული და შეფუთული.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა პროცესი საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე ყველაზე უარყოფითად მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში შეაფასეს. მცხეთა-მთიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიებში პროცესი ხშირად შეფასდა, როგორც ქაოსური. თავიდან საოლქო საარჩევნო კომისიები შედიოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებულ დახურულ ოთახებში, სადაც მათი საარჩევნო მასალები და ოქმები მოწმდებოდა უფლებამოსილების არმქონე პირთა მიერ ვიდრე მათი ჩაბარება საოლქო საარჩევნო კომისიებში მოხდებოდა. განსაკუთრებით ამ რეგიონში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს გაუჭირდათ ოქმების ასლების მოპოვება. შიდა ქართლში პროცესი შეფასდა, როგორც ხმაურიანი, გაუმჭვირვალე და არამეგობრული არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მისამართით⁶⁶. კახეთში პროცესი არ იყო სრულიად გამჭვირვალე. ქვემო ქართლში საოლქო საარჩევნო კომისიებს ხშირად არ შეეძლოთ შეემოწმებინათ შუალამის შემდეგ შემოსული ოქმები. დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს არ მისცეს საშუალება დაკვირვებოდნენ 20 საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების შეჯამებას, რადგან მათ საოლქო საარჩევნო კომისიის შენობების დატოვება მოსთხოვეს. წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში ბევრი ოქმი გადასწორდა ჩაკეტილ ოთახში უფლებამოსილების არმქონე პირთა თანდასწრებით.

ბევრი საოლქო საარჩევნო კომისია არ იყო თანმიმდევრული ოქმების შეჯამების პროცესში. ბევრ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა მუშაობა 22 მაისის დილით შეწყვიტეს, მანამდე, ვიდრე მოხდებოდა ყველა ოქმის მიღება და დამუშავება. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მუშაობა რამდენიმე საათში განაახლა, თუმცა დრო, თუ როდის განაახლებდნენ კომისიები მუშაობას ყოველთვის გამჭვირვალედ არ ცხადდებოდა.⁶⁷ ზოგჯერ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის

⁶⁶ შიდა ქართლის რეგიონის ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიის ოფიციალური გადაწყვეტილების გარეშე ოქმების შესწორების ხშირი შემთხვევები, ასევე წინასწარ ხელმოწერილი და წინასწარ ბეჭედადარტყმული ოქმების შემთხვევები აღინიშნეს.

⁶⁷ ყაზბეგის, სენაკის, ფოთის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიები.

დამკვირვებლები და ადგილობრივი დამკვირვებლები შეცდომაში შეიყვანეს იმასთან დაკავშირებით, თუ როდის განაახლებდა საოლქო საარჩევნო კომისია მუშაობას.⁶⁸

ის ფაქტი, რომ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები „გამარტივდა“ იმით, რომ მასში არ ხდებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეტანა⁶⁹ ართულებს ოქმებში მოცემული რიცხვების შედარებას. 1,300 საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმის⁷⁰ ანალიზის შედეგად გამოვლინდა პრობლემები, რაც თითქმის ყველა ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებში არსებული ციფრების შედარებასთან იყო დაკავშირებული.⁷¹ ამ პრობლემათა უმეტესობა შეეხებოდა საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა ჯამს და ბათილი ხმების ჯამს, რომელიც ხელმოწერათა რაოდენობაზე ნაკლები იყო. თუმცა ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა და ბათილი ხმების საერთო ჯამი აღემატებოდა ამომრჩველთა სიებში არსებულ ხელმოწერებს, რაც ბიულეტენების ჩაყრაზე მიანიშნებს.⁷²

შევიდა საჩივრები 300-მდე საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების გაუქმების მოთხოვნით. 38 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები გააუქმა საოლქო საარჩევნო კომისიამ და სასამართლოებმა, ძირითადად სერიოზული დარღვევების გამო, როგორცაა ბიულეტენების ჩაყრა, ადგილობრივ დამკვირვებლებზე ზეწოლა ან დაშინება. ბევრი ოქმი საერთაშორისო დამკვირვებლების ფორმალური თუ

⁶⁸ მაგალითად, 22 მაისს ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაარწმუნა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები იმაში, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობას 18:00 საათზე გააგრძელებდა. მაგრამ როდესაც დამკვირვებლები საოლქო საარჩევნო კომისიაში მივიდნენ 18:00-მდე, მათ თავმჯდომარემ განუცხადა, რომ სხდომა უკვე შედგა და რომ 12 საჩივის განხილვა მოხდა.

⁶⁹ ამომრჩველთა სიის დანართში შეყვანილი ამომრჩველები და საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენები არ იყო ოქმში შეტანილი. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ არ ხდება კონვერტების რაოდენობის გაკონტროლება და მათი ოქმში ჩაწერა, მათ გამოყენებას უაზროს ხდის.

⁷⁰ ანალიზი ემყარება არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიერ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში შეგროვილ ოქმებს.

⁷¹ მაგალითად, საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 37 საუბნო საარჩევნო კომისიაში, მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 12 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 7 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 18 საუბნო საარჩევნო კომისიაში, შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის 19 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის 20 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 21 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიის 7 საუბნო საარჩევნო კომისიაში, თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 8 საუბნო საარჩევნო კომისიაში, გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის 19 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 8 საუბნო საარჩევნო კომისიაში პარტიების/ბლოკების მიერ მიღებულ ხმათა ჯამს + ბათილი ბიულეტენები არ შეესაბამება იმ ამომრჩველთა რაოდენობას, რომლებმაც ხმა მისცეს. განსხვავება მერყეობდა ერთიდან 467-მდე.

⁷² მაგალითად, მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის #23 საუბნო საარჩევნო კომისიაში, სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის #57 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ქედას საოლქო საარჩევნო კომისიის #24 საუბნო საარჩევნო კომისიაში, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის #36 საუბნო საარჩევნო კომისიაში, დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის #19 საუბნო საარჩევნო კომისიაში, წალენჯიხას საოლქო საარჩევნო კომისიის #19 საუბნო საარჩევნო კომისიაში, მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის #28, 47, 52 და 83 საუბნო საარჩევნო კომისიებში, დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის #22 and 24 საუბნო საარჩევნო კომისიებში ორ და 467-ზე მეტი ჩაყრილი ბიულეტენი ვიდრე ხელმოწერები ამომრჩველთა სიებში.

არაფორმალური საჩივრის საფუძველზე გაუქმდა ან კიდევ იმ ინციდენტებს უკავშირდებოდა, რომლის თვითმხილველიც საერთაშორისო დამკვირვებლები გახდნენ. გაუქმებულ საარჩევნო უბნებზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 48,381-ს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრ ამომრჩეველს სერიოზული დარღვევების გამო ხმის მიცემის უფლება არ მიეცა. თუმცა, არც ერთმა გაუქმებულმა ოქმმა გავლენა არ იქონია შედეგებზე. ამასთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიებმა 31-ჯერ განახორციელეს ხელახალი დათვლა. გაუქმებისა და ხელახალი დათვლის თაობაზე დაწვრილებითი პროცედურების არარსებობის გამო, საოლქო საარჩევნო კომისიები შემთხვევებს თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად არ განიხილავდნენ.⁷³ ხშირად, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს მიეცათ გაფრთხილება ან მათზე გავრცელდა სანქციები, ჯარიმის დაკისრების ჩათვლით.

11 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები ცესკო-ში გასაჩივრდა, რომლითაც უბნების შედეგების გაუქმებას მოითხოვდნენ. არც ერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა. შედეგად 5 საქმე სასამართლოში გასაჩივრდა, სადაც ასევე არც ერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა.

ცესკო-მ საარჩევნო უბნების შედეგებისა და ოქმების დადება თავის ვებ-გვერდზე 22 მაისს, შუალამის შემდეგ დაიწყო. ცესკო-ს მიხედვით, ოქმები თბილისში არსებული საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ხელით მიჰქონდათ. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ცესკო-ში ოქმთა სულ ერთი მესამედი ფაქსით, სამოქალაქო რეესტრის ქსელის მეშვეობით, გადაიგზავნა. 269 საარჩევნო უბანში, საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა არ მოაწერა ხელი შემაჯამებელ ოქმს, 54 საუბნო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრებმა ოქმს განსხვავებული აზრი დაურთეს. 23 მაისს ცესკო-მ, 3,270 ოქმზე დაყრდნობით არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაცხადა. ცესკო-ს მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობა 53% შეადგენდა. ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში აქტივობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალოდ ქვეყნის მასშტაბით არსებულ აქტივობას.⁷⁴

5 ივნისს ცესკო-მ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაცხადა. ცესკო-მ შედეგების შემაჯამებელი ოქმი კენჭისყრით არ დაამტკიცა, სამაგიეროდ მასზე ხელი მხოლოდ ცესკო-ს თავმჯდომარემ და მდივანმა მოაწერა. ცესკო-ს იურისტმა განმარტა, რომ არ იყო აუცილებელი, ცესკო-ს შემაჯამებელი ოქმი ხმის მიცემით დაემტკიცებინა. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსის მუხლი 64.1 შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „ცესკო ... განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს“, ეს ფორმულირება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შემდეგნაირად შეიცვალა „ცესკო ... ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის ახალი ფორმულირება გარკვევით არ აღნიშნავს განკარგულების შედგენის აუცილებლობას, მუხლი ნათლად ადგენს, რომ ცესკო ადგენს

⁷³ ერთი და იმავე ტიპის დარღვევისთვის გაუქმდა რამდენიმე საარჩევნო უბნის შედეგები, თუმცა სხვა შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა საჩივრები მიუხედავად იმისა, რომ დარღვევა დადასტურდა.

⁷⁴ მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია – 71%, ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისია – 74%, ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისია – 85%, ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისია – 83%, ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია – 86%, ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისია – 79%, ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია – 82%.

არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ცესკო 13 წევრისგან შედეგება და ნებისმიერი გადაწყვეტილება ან დოკუმენტი უნდა მიიღოს ცესკო-მ, როგორც ორგანომ და არა მხოლოდ მისმა რამდენიმე წევრმა. ერთი განსხვავებული აზრი შედეგების შემაჯამებელი ოქმის თაობაზე თან ერთვოდა სხდომის ოქმს.⁷⁵

ცესკო-ს შედეგების შემაჯამებელი ოქმი წარუმატებლად გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ. იგი ასევე გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც ასევე არ დაკმაყოფილდა.

XVI. არჩევნების დღესთან დაკავშირებული საჩივრები და განცხადებები

კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების შეტანის პროცედურები მეტისმეტად რთული და ბუნდოვანია, რამაც გაუგებრობა და დაინტერესებული მხარეების მიერ მათი მრავალგვარი ინტერპრეტაცია განაპირობა. ადგილი ჰქონდა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრების განხილვისას ჩადენილ ხშირ და მნიშვნელოვან დარღვევებს. გარკვეულწილად საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოავლინა არასაკმარისი ნება სწრაფად მიეღო და სათანადოდ განეხილა საჩივრები.⁷⁶ ასევე, საარჩევნო ადმინისტრაცია უმეტესწილად არ იყენებდა თავის ფართო უფლებამოსილებას, საკუთარი ინიციატივით გამოეძიებინა და აღმოეფხვრა კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული დარღვევები.

კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით შესული საჩივრებისა და განცხადებების მიახლოებითი რიცხვი შემდეგნაირად გამოიყურება: საუბნო საარჩევნო კომისიები - 1,000, საოლქო საარჩევნო კომისიები - 300, ცესკო - 20, საქალაქო/რაიონული სასამართლოები - 47, სააპელაციო სასამართლო - 27. ამ საჩივრებსა და განცხადებებში აღნიშნული იყო მრავალი დარღვევა ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შეჯამების, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრის სერიოზული შემთხვევების შესახებ, ასევე ხმის მრავალჯერადი მიცემის, წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემის, ამომრჩევლებზე, ადგილობრივ დამკვირვებლებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე ზეწოლისა და დაშინების, უფლების არმქონე პირთა ჩარევისა და ოქმთან დაკავშირებული დარღვევების თაობაზე. საჩივართა უმრავლესობა შევიდა ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ, განსაკუთრებით კი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ. შედარებით მცირე რაოდენობით, კი ოპოზიციური პარტიების მიერ. არც ერთი საჩივარი არ შესულა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ“. საჩივრები ასევე შეიტანეს ამომრჩევლებმაც, თუმცა

⁷⁵ განსხვავებული აზრი წარმოადგინა „კონსერვატიული პარტიის“ მიერ დანიშნულმა ცესკო-ს წევრმა.

⁷⁶ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საჯაროდ მოუწოდა საარჩევნო ადმინისტრაციას „არც ერთი დადასტურებული განცხადება ადეკვატური და სათანადო რეაგირების გარეშე არ დაეტოვებინათ“ და დასძინა, რომ ეს იყო „ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა არჩევნების სტაბილურ და დემოკრატიულ გარემოში ჩასატარებლად“.

კანონი მათ ამის უფლებას გარკვევით არ აძლევს.⁷⁷ დაიწყო 30-მდე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რაც უკავშირდებოდა არჩევნების დღეს და არჩევნების შემდეგ მომხდარ შემთხვევებს. ეს შემთხვევები მოიცავდა ფიზიკურ თავდასხმას, დაშინებას, საარჩევნო მასალების მოპარვას, საარჩევნო ბიულეტენების გაყალბებას და საარჩევნო კომისიისთვის ხელის შეშლას.

იყო ხშირი და დადასტურებული ფაქტები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უშლიდნენ ხელს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების მიერ საჩივრების შეტანას. ასევე, თუ როგორ ეუბნებოდნენ მათ უარს საჩივრის სტანდარტული ფორმების მიცემაზე. ბევრი მსგავსი შემთხვევა შეიცავდა მუქარას და დაშინებას და საარჩევნო უბნიდან გაძევებას. ზოგან, დამკვირვებლებმა თავი შეიკავეს საჩივრების შეტანისგან, რაც შესაძლოა დაშინებით იყო განპირობებული.⁷⁸ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და წარმომადგენლებს ემინოდათ ჩვენების მიცემა საჩივრის სასარგებლოდ. ადგილი ჰქონდა ასევე შემთხვევებს, როდესაც თანამომჩივნებმა თავი შეიკავეს ჩვენების მიცემისგან ან შეცვალეს ჩვენება საქმის განხილვისას. ბევრი სერიოზული საქმე წარუმატებლად დასრულდა საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში, როგორც ჩანს ამ მიზეზთა გამო.⁷⁹ ზოგიერთ დადასტურებულ შემთხვევაში საჩივრის მოწმეები დააშინეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ დარღვევათა და დანაშაულთა უმეტესობა მოხდა იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც ვიდეოთვალი არ იყო დამონტაჟებული, რაც გარკვეულწილად ზღუდავდა ვიდეოჩანაწერების სარგებლობას საქმისათვის. საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში შევიდა რამდენიმე მოთხოვნა ვიდეოჩანაწერების ნახვის თაობაზე, რომელთა ნაწილი არ დაკმაყოფილდა ან არ განხილულა.

ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა არ განიხილეს საჩივრები და არ აცნობეს მომჩივნებს თავიანთი უფლების თაობაზე გაესაჩივრებინათ

⁷⁷ სასამართლომ განუხილველად დატოვი საჩივარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით საარჩევნო უბანზე ხმის მოსყიდვის შესახებ იმ საბაზით, რომ ცალკეულ მოქალაქეებს კანონით მსგავსი საჩივრების შეტანის უფლება არ აქვთ.

⁷⁸ შუალდამით კენჭისყრის დღეს ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისიაში „რესპუბლიკურმა პარტიამ“ გაიტანა 12 საჩივარი ბიულეტენების ჩაყრისა და სხვა მძიმე დარღვევის თაობაზე, რომელთა ნაწილის თვითმხილველი არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებიც იყვნენ.

⁷⁹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სასამართლოს ზოგადი ინტერპრეტაციის მიხედვით მომჩივნებს არ აქვთ უფლება, მისცენ თვითმხილველის ჩვენება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში. ამიტომ, აკრედიტებულ დამკვირვებლებს და პარტიის წარმომადგენლებს, რომლებსაც შეაქვთ საჩივარი მათ მიერ ნანახ შემთხვევებთან დაკავშირებით, არ აქვთ უფლება საქმეში თავიანთი ჩვენება მისცენ. რადგან სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს არ აქვთ უფლება შეიტანონ საჩივრები კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით (მხოლოდ ცალკეულ დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს), ძალიან რთულია დაამტკიცო თვითმხილველზე დაფუძნებული საქმეები თუ მომჩივანს არ აქვს უფლება, მისცეს ჩვენება სხვა დამკვირვებლები კი, თავს იკავებენ ჩვენების მიცემისგან დაშინების გამო.

იგი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. ერთ ცნობილ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიამ არ გადააგზავნა საჩივრები საოლქო საარჩევნო კომისიაში. ადგილი ჰქონდა რამდენიმე შემთხვევას, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებმა უარი განაცხადეს საჩივრების რეგისტრაციაში გატარებაზე და საჩივართა დიდი ნაწილი, რომლებშიც ტექნიკური შეცდომები იყო, არ განხილულა ან არ დაკმაყოფილებულა, ისე, რომ უმეტეს შემთხვევაში მომჩივნებს არ მისცეს შეცდომების გასწორების საშუალება. ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში არ მოხდა საჩივრების განხილვა იმ არასწორი მიზეზის გამო, რომ ისინი არასწორად იყო შეტანილი საოლქო საარჩევნო კომისიაში (საუბნო საარჩევნო კომისიის ნაცვლად) ან ისინი პარალელურად უნდა ყოფილიყო შეტანილი საოლქო საარჩევნო კომიებშიც. რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიამ არ განიხილა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაგზავნილი არც ერთი საჩივარი ან უარი განაცხადა იმ საჩივრების განხილვაზე, რომლების გავლენას არ იქონიებდნენ არჩევნების შედეგებზე.

ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც მომჩივნებს სათანადოდ არ აცნობეს მათი საჩივრების განსახილველად დანიშნული სხდომის დრო. ასევე ჰქონდა ადგილი შემთხვევებს, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიის ოპოზიციის მიერ დანიშნულ წევრებს ხელს უშლიდნენ, ენახათ საჩივრები. ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში არ ხდებოდა საჩივრების გონივრული განხილვა, ადგილი ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკურ არგუმენტებს, ხმის მიცემას პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე და ცესკო-ს მიერ დანიშნული წევრების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი“ მიკერძოებას. საჩივართა უმეტესობა არ დააკმაყოფილა საოლქო საარჩევნო კომისიებმა, ხშირად მტკიცებულების სათანადოდ გამოძიების გარეშე, ასევე მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე უარის თქმით, ან ნათელი და სალი არგუმენტაციის გარეშე. ამ საქმეთა ნაწილი შეეხებოდა სერიოზულ დარღვევებს, რომელთა ნაწილს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები შეესწრნენ. ბევრი საჩივარი იმ მიზეზით არ დაკმაყოფილდა, რომ ისინი არ იყო მნიშვნელოვანი ან ისინი გავლენას ვერ იქონიებდნენ შედეგებზე. საჩივრებთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებებში უმეტესწილად არ იყო მოცემული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტაცია. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მომჩივნებს არასწორად აცნობა იმის თაობაზე, რომ ეს ბრძანებულებები შეიძლებოდა გასაჩივრებელიყო ცესკო-ში (სასამართლოს ნაცვლად) ან არ შეატყობინეს, თუ რომელ ორგანოში შეიძლებოდა ამ დადგენილებების გასაჩივრება. ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიამ სასამართლოში გასასაჩივრებლად ძალიან გვიან მიაწოდა მოსარჩელეს დადგენილება საჩივრის შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიის რამდენიმე გადაწყვეტილება გასაჩივრდა ცესკო-ში სასამართლოს ნაცვლად, რის გამოც ისინი არ განხილულა. ასევე არ მომხდარა სხვა საჩივრების განხილვა, რომლებიც უფლებამოსილების არმქონე მომჩივნების მიერ იყო შეტანილი.⁸⁰ საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ნამდვილობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას ცესკო-მ და

⁸⁰ ერთ შემთხვევაში ცესკო-მ უარი განაცხადა საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებით საჩივრის განხილვაზე, რადგან პარტიის წარმომადგენელმა ლიდერის ნაცვლად მოაწერა ხელი საჩივარს. ამ გადაწყვეტილებას მხარი სასამართლომ დაუჭირა.

სასამართლოებმა არასწორად განაცხადეს უარი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ნამდვილობის განხილვაზე⁸¹. ამის შემდეგ ცესკო-მ და სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თუ ოქმს არ ერთვოდა საოლქო საარჩევნო კომისიის არც ერთი წევრის განსხვავებული აზრი, მაშინ საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება. ცესკო-მ თითქმის ყველა საჩივარი განუხილველი დატოვა ან არ დააკმაყოფილა. მათი არ განხილვა ან არ დაკმაყოფილება ხშირად შესაბამისი გამოძიების ან სალი ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობის გარეშე ხდებოდა. ცესკო-ს დადგენილებები მოკლებული იყო ნათელ და სიღრმისეულ მსჯელობას.

სასამართლოებმა გააუქმა საოლქო საარჩევნო კომისიის ბევრი გადაწყვეტილება არასწორად განხილვის ან საქმეში არსებული მტკიცებულების არასაკმარისად გამოძიების გამო. მათ მხარი დაუჭირეს საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების შემაჯამებელი ოქმების უმეტესობას, მათ შორის მათაც, რომლებიც სერიოზულ დარღვევას შეიცავდა და რომელთა ნაწილის თვითმხილველნი არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები იყვნენ. ბევრი სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავდა მტკიცებულების არასწორ შეფასებას და მოკლებული იყო სად და სიღრმისეულ ფაქტობრივ-სამართლებრივ არგუმენტაციას. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო მასალები ოქმების ჩათვლით, არ მივიდა დალუქული და ბეჭედდასმული საოლქო საარჩევნო კომისიაში, ასეთმა დარღვევებმა არ აღძრა ეჭვი ოქმებში არსებული შედეგების ლეგიტიმურობის თაობაზე. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის წინააღმდეგ შესულ ერთ განცხადებასთან მიმართებაში სასამართლომ განაცხადა, რომ რადგან პირმა საჩივარი დადგენილ ვადებში ვერ შეიტანა არ ნიშნავდა იმას, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ მას ოქმი დროულად არ მიაწოდა.

XVII. რეკომენდაციები

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ გასათვალისწინებლად, ნიშნად მათი ძალისხმევის მხარდაჭერისა, არჩევნები ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისა და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩაატარონ. ამ რეკომენდაციათა გარკვეული ნაწილი OSCE/ODIHR-ის წინა დასკვნით ანგარიშებშიც იყო მოცემული, რომელთა გათვალისწინება კვლავ არ მომხდარა. OSCE/ODIHR-ი მზადაა დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას საარჩევნო პროცესის კიდევ უფრო გაუმჯობესებაში.

ა. სამართლებრივი ბაზა

1. ამჟამად არსებულ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანა ყველა ძირითად პოლიტიკურ ერთეულთან, ასევე ძირითად საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან

⁸¹ საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები გამომდინარეობს საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების შეჯერებიდან.

ფართო კონსულტაციების გზით უნდა მოხდეს. თუ შენარჩუნდება მაჟორიტარული კომპონენტი, უნდა გადაიხედოს საარჩევნო ოლქების საზღვრები, რათა არ იყოს 10 პროცენტზე მეტი სხვაობა ოლქებზე რეგისტრირებულ ამომრჩევლებს შორის და დაცული იყოს ხმათა თანაბრობა. ან კიდევ, საარჩევნო სისტემა ისე უნდა შეიცვალოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს საერთო პროპორციულობა.

2. პარლამენტს შეუძლია კონსტრუქციულად მიიღოს ახალი საარჩევნო კოდექსი უახლოეს მომავალში, შემდეგ საერთოეროვნულ არჩევნებამდე, და მხედველობაში მიიღოს OSCE/ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) წარსული და ახლანდელი რეკომენდაციები. ეს ყველაზე კარგად მიიღწევა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ღია და გამჭვირვალე კონსულტაციების მეშვეობით, რაც ფართო კონსენსუსის მიღწევას ისახავს მიზნად.
3. უნდა გადაიხედოს საარჩევნო კოდექსი, რათა გადაიჭრას პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ (არა მხოლოდ საჯარო მოსამსახურეების) საარჩევნო ღონისძიებების შეთავსება სამსახურებრივ მოვალეობებთან და ასევე ბუნდოვანი განსხვავება სამთავრობო ინიციატივებსა და საარჩევნო ღონისძიებებს შორის. მსგავსი აკრძალვები საჭიროა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრინციპის დარღვევა და ამავე დროს შესრულდეს ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტი. ამასთანავე, კანონი უნდა შეიცავდეს საარჩევნო კამპანიისა და ხმის მოსყიდვის უფრო მკაფიო და ფართო განსაზღვრებას. აკრძალვები საარჩევნო კამპანიის თაობაზე, ჩვეულებისამებრ, იწყება არჩევნების დანიშნის დღიდან და არაუგვიანეს იმ პერიოდისა, როდესაც საარჩევნო სუბიექტები გააცნობენ საზოგადოებას თავიანთ გადაწყვეტილებას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.
4. საარჩევნო კანონი უნდა კრძალავდეს ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის - ფინანსური, მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსის - საარჩევნო მიზნებისთვის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოყენებას საარჩევნო სუბიექტების, საჯარო მოხელეებისა თუ საარჩევნო კამპანიაში მონაწილე სხვა პირების მიერ (გარდა საარჩევნო ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული შენობებისა, რომლებზედაც ყველა სუბიექტს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი).

ბ. საარჩევნო ადმინისტრაცია

5. საარჩევნო კომისიის წევრები, განურჩევლად იმისა პარტიის მიერ არიან დანიშნული თუ არა, უნდა იყვნენ მიუკერძოებლები და მოქმედებდნენ კოლეგიალურად, კანონის შესაბამისად. საარჩევნო კოდექსი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ პოზიციებზე რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტია არ დომინირებდეს. ნდობის

გასაუმჯობესებლად ცესკო-ს თავმჯდომარე შესაძლოა აირჩეს ცესკო-ს წევრებიდან პოლიტიკურ ძალებს შორის კონსულტაციების საფუძველზე.

6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ყოვლისმომცველი, ერთგვაროვანი და დროული ტრენინგების ჩატარება, რომლის დროსაც განსაკუთრებული აქცენტი ხმების დათვლისა და შეჯამების პროცედურებზე გაკეთდება. ზედა დონის კომისიის წევრებისთვის თანაბრად სასარგებლო იქნება დამატებითი ტრენინგი საჩივრებისა და აპელაციების განხილვის პროცედურების საკითხებში.
7. იმ შემთხვევაში, თუ კვლავ გაგრძელდება ვიდეოთვალის გამოყენება, ის საარჩევნო უბნები, სადაც მსგავსი კამერები დამონტაჟდება, უნდა განისაზღვროს ცესკო-ს, როგორც ორგანოს, მიერ. საარჩევნო კოდექსი უნდა ადგენდეს ოფიციალური ჩანაწერების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას ნებისმიერი მომხივანისა თუ საჯარო ორგანოსათვის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში. კანონი ასევე უნდა მოითხოვდეს ჩანაწერების განსაზღვრული, ხანგრძლივი ვადით შენახვას.

გ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

8. შეთავსებადი კომპიუტერული პროგრამის გამოყენება სასარგებლო იქნებოდა როგორც სამოქალაქო რეესტრისთვის, ისე ცესკო-სთვის, რისი მეშვეობითაც გაუმჯობესდებოდა თანამშრომლობა ორ დაწესებულებას შორის და გამოირიცხებოდა ამომრჩეველთა სიებში არსებული ისეთი უზუსტობები და შეუსაბამობები, როგორცაა დუბლიკატები და გარდაცვლილი პირები.
9. იმ ამომრჩევლებს, რომელთა ვინაობა და საარჩევნო უფლება დადასტურდება, არ უნდა შეეზღუდოთ ხმის მიცემის უფლება, თუ ამომრჩეველთა სიაში მათი პირადობის დამადასტურებელი საბუთის ნომერი არასწორად იქნება შეყვანილი. ასეთი შეცდომები უნდა ჩაინიშნოს საუბნო საარჩევნო კომისიებმა, რომლებიც არჩევნების შემდეგ უნდა გასწორდეს.
10. საარჩევნო კოდექსში უნდა იყოს მოცემული უფრო მკაცრი ნორმები ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი ყუთით ხმის მიცემის შემთხვევაში) ამომრჩეველთა შეყვანის თაობაზე. მაგალითად, შეყვანა შეიძლება განხორციელდეს სამედიცინო ცნობის ან განცხადების საფუძველზე და არა სატელეფონო ზარის მეშვეობით.

დ. საარჩევნო კამპანია

11. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო, თანმიმდევრული შეტყობინებების მიწოდება ყველა სახელმწიფო თანამდებობის პირისთვის იმის თაობაზე, რომ საარჩევნო პროცესებში ჩარევა, ზეწოლისა თუ დაშინების ნებისმიერი ფორმა და ძალადობა პოლიტიკურ აქტივისტებზე, საჯარო სექტორის

ოფიციალურ პირებზე, ბიზნესმენებზე თუ ამომრჩევლებზე მიუღებელია და არ მოხდება მასთან შეგუება. ნებისმიერი მსგავსი შემთხვევა, რომელიც გამოვლინდება, ბოლომდე უნდა იქნეს გამოძიებული და ყველა პასუხისმგებელი პირი კანონის შესაბამისად დასჯილი.

ცესკო-ს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად შეუძლია შეიმუშაოს ქცევის კოდექსი, რომელსაც საჯაროდ ხელს მოაწერდა ყველა კანდიდატი (საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში) ან პარტიის ლიდერები (საპარლამენტო ან ადგილობრივი არჩევნებისთვის) და პირობას დადებდნენ, ჩაატარონ საარჩევნო კამპანია და არჩევნების დღე შეთანხმებული პრინციპებისა და კანონის შესაბამისად.

12. საარჩევნო კანონში შეიძლება დამატებული იქნეს დუმილის დღე საარჩევნო კამპანიისას. საარჩევნო კანონი შეიძლება შეიცავდეს დებულებას, რომელიც კრძალავს კამპანიის წარმოებას არჩევნების დღეს. ასევე უნდა დაემატოს დებულება, რომელიც აკრძალავს კამპანიის წარმოებას და საარჩევნო მასალების შეტანას საარჩევნო უბნებში და ასევე მის სიახლოვეს.
13. საარჩევნო კოდექსის დებულება საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ყოველთვიურად წარადგინოს ცესკო-ში ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ისე, რომ უზრუნველყოს ამ ინფორმაციის წარდგენა და გამოქვეყნება არჩევნების დღემდე. ეს კიდევ უფრო გააუმჯობესებდა გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.
14. ცესკო-მ უნდა უზრუნველყოს, რომ საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით არჩევნების შემდეგ წარდგენილი ანგარიშები შემოწმებულია საეთაშორისო აუდიტორული სტანდარტების შესაბამისად და, რომ მას თან ერთვის ყველა დეტალური ინფორმაცია ქვითრებისა და ხარჯების თაობაზე. მან ასევე უნდა შეამოწმოს ანგარიშის სისრულე და ყველა ქვითრისა და ხარჯის არსებობა. საარჩევნო სუბიექტებმა გარკვევით უნდა დაასახელონ თანხის შემწირველების ვინაობა და არ განაცხადონ, რომ თანხა პოლიტიკური პარტიებიდან არის შემოსული.
15. საარჩევნო კოდექსმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ფინანსური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობები, რომელიც ზედამხედველობას უწევს საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით არსებულ წესებთან შესაბამისობას.

ე. მედია

16. პატივი უნდა ეცეს მედიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რადგან ობიექტური გაშუქება საარჩევნო კამპანიისას უმნიშვნელოვანესია. სახელმწიფო ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა ყოველთვის უნდა შეიკავონ თავი მედიისა და ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევისგან, რადგან ეს ასუსტებს მათ დამოუკიდებლობას.

17. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა უზრუნველყოს მედიასთან დაკავშირებული დებულებების პატივისცემა, ასევე ახალი ამბების ობიექტური, სამართლიანი და სწორი გაშუქება. ცესკო-ს მიერ შეკვეთილი მონიტორინგი შეიძლება გამოყენებული იყოს კანდიდატისა და პარტიის ნებისმიერი არასამართლიანი და უპირატესი გაშუქების სწრაფად დასადგენად და, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი გამანეიტრალებელი ზომების მისაღებად.
18. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დამოუკიდებლობა კიდევ უნდა გაძლიერდეს, უნდა განვითარდეს მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი ახალი ამბების გამოშვებებთან დაკავშირებით. ამბის გადმოცემა უნდა იყოს დაბალანსებული და რეალური, რაც ასევე შეეხება ხელისუფლების ღონისძიებების გაშუქებას.
19. მედიის დამოუკიდებლობის გასაუმჯობესებლად, შესაძლოა განხილული იქნეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრებისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა პროფესიონალიზმის და არა პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნით.

ვ. ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შეჯამება, შედეგების გამოცხადება

20. საარჩევნო კოდექსში ნათლად უნდა იყოს გაწერილი არჩევნების დღეს საოლქო საარჩევნო კომისიის პროცედურები, რაც მოიცავს საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების გაბათილებისა და შესწორების კრიტერიუმებს და ხელახალ დათვლას.
21. ცესკო-მ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ყუთების ერთგვაროვანი დალუქვა.
22. გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად და შედარებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, შემაჯამებელი ოქმები უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ მონაცემს, რაც მოიცავს ამომრჩეველთა რაოდენობას ამომრჩეველთა სიის დანართში და საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობას.
23. საარჩევნო კოდექსი ნათლად უნდა განმარტავდეს, რომ შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს და პროცესში წყვეტა არ უნდა იყოს.
24. გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, ცესკო-ს შეუძლია მოთხოვოს საუბნო საარჩევნო კომისიებს, შეავსონ ცალკე ოქმები სპეციალურ საარჩევნო უბნებში მიცემულ ხმებზე, რომელთა დათვლა ხდება ჩვეულებრივ საუბნო საარჩევნო კომისიებში, და ისინი სხვა ბიულეტენებს არ შეურიონ.
25. გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ნდობა გაიზრდება, თუ შემაჯამებელი ოქმები საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე

დამოწმდებოდა კოლეგიალურად, შესაბამისი კომისიების მიერ ხმის მიცემის გზით.

ზ. საჩივრები და განცხადებები

26. პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს უფრო გამარტივებული და ნათელი პროცესი საჩივრებისა და განცხადებებისთვის, საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების, ქმედებების/უმოქმედობის და საარჩევნო დარღვევების გასაჩივრებისათვის. პროცედურები უნდა მოიცავდეს გასაჩივრების ერთიან პროცედურას, მინიმალურ ტექნიკურ ბარიერებს, ჯეროვანი სამართლებრივი პროცესის საერთაშორისო სტანდარტებსა და ნათელ რეაგირების ზომებს.
27. საჩივრებისა და განცხადებების შეტანის ვადები უნდა გაიზარდოს, რათა მისცეს მომჩივნებს საშუალება ეფექტური არგუმენტების მოძიებისთვის და სათანადო მტკიცებულების მომზადებისთვის. ვადის ათვლა უნდა იწყებოდეს იქედან, როდესაც მომჩივანს ეცნობება გადაწყვეტილების თაობაზე და არა გადაწყვეტილების მიღების დღიდან. განხილვის ვადა ასევე უნდა გაიზარდოს, რათა საარჩევნო ორგანოებსა და სასამართლოებს მიეცეთ საკმარისი დრო იმისათვის, რომ განიხილონ, მოისმინონ და გამოიტანონ გადაწყვეტილება და უზრუნველყონ ჯეროვანი სამართლებრივი პროცესი.
28. ცესკო-მ უნდა შეიმუშაოს ამომწურავი და დეტალური შიდა პროცედურები ადმინისტრაციის ყველა დონეზე საჩივრების და განცხადებების განხილვისათვის, მათი რეგისტრაციიდან დაწყებული გადაწყვეტილების გამოტანით დამთავრებული. ეს ყველაფერი შესაბამისობაში უნდა იყოს ჯეროვან სამართლებრივ პროცესთან და საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილ სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ისეთ მოთხოვნებთან, როგორცაა უფლება წერილობით მიიღო ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილება.
29. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის და ცესკო-ს წევრებისა და იურისტებისთვის სასარგებლო იქნებოდა ტრენინგი საარჩევნო კანონთან (მატერიალური და პროცედურული საკითხები), გადაწყვეტილების გამოტანის უნარ-ჩვევებთან და ჯეროვანი სამართლებრივი პროცესის სტანდარტებთან დაკავშირებით. საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცესკო-ს იურისტების რჩევა უნდა იყოს პოლიტიკურად მიუკერძოებელი და სამართლებრივად ჯანსაღი. საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა უნდა იყოს სისტემური და სიღრმისეული, აქცენტი უნდა კეთდებოდეს ფაქტებზე, კანონსა და მტკიცებულებებზე სამართლებრივად ჯანსაღად და მიუკერძოებლად და გათვალისწინებული უნდა იყოს კანონის არსი. საუბნო საარჩევნო კომისიები უკეთ უნდა იყვნენ მომზადებული საჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით.
30. არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ცესკო-ს სასამართლოებთან ერთად შეუძლია შეიმუშაოს ერთობლივი ინსტრუქციები, სახელმძღვანელო პრინციპები ან

გადაწყვეტილებები საერთო საკითხებთან დაკავშირებით საარჩევნო დავებთან მიმართებაში. ცესკო-მ უნდა დაიწყოს თანამშრომლობა პოლიტიკურ პირებთან და ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფებთან, რათა მათ განიხილონ და შეთანხმდნენ საჩვირებისა და განცხადებების პროცედურებზე. ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით მოქალაქეებს საჩვირებისა და განცხადებების პროცედურების თაობაზე უნდა ეცნობოთ.

31. ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიებს მნიშვნელოვნად წაადგებათ, თუ შტატში ეყოლებათ გამომძიებლები. ეს მათ საშუალებას მისცემდათ, ყოფილიყვნენ უფრო პროაქტიურები საარჩევნო კანონის შესრულების მონიტორინგის საქმეში სერიოზული ბრალდებების გამოძიების მეშვეობით, ფორმალური საჩვირის არარსებობის შემთხვევაშიც კი. ისინი იზრუნებდნენ საარჩევნო კომისიების არაკანონიერ გადაწყვეტილებებზე და ქმედებებზე, ასევე დარღვევებზე თავიანთი ძალებით ან სასამართლოს მეშვეობით. სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში, ისინი აქტიურად ითანამშრომლებდნენ სამართალდამცველებთან.
32. საჩვირებისა და განცხადებების პროცესის გამჭვირვალობის გასაზრდელად, ცესკო-მ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციაში შესული ყველა საჩვირისა და განცხადების ბაზის არსებობა, რომელიც რეგულარულად განახლდება, ექნება მიზმული შესაბამისი გადაწყვეტილებები და დაიდება ცესკო-ს ვებ-გვერდზე.
33. სასამართლოებმა არჩევნებთან დაკავშირებული საქმეები უნდა მოაგვარონ მათივე არსიდან გამომდინარე, ბოლომდე უნდა შეისწავლონ ყველა სათანადო სამხილი და გადაწყვეტილება გონივრულ სამართლებრივ ინტერპრეტაციაზე დააფუძნონ, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება კანონის არსი და დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები. უნდა გაუქმდეს ან მინიმუმამდე დავიდეს არჩევნებთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში შეტანისთვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი, რათა ამ უკანასკნელმა არ შეუშალოს ხელი დაინტერესებულ მხარეთა მიერ საჩვირებისა და განცხადებების შეტანას. არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების რეგულარულად განახლებული მონაცემთა ბაზა უნდა განთავსდეს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე.
34. კანონი ასევე უნდა აძლევდეს უფლებას ამომრჩეველებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საჯარო სტრუქტურებს, შეიტანონ საჩვირები საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში საარჩევნო კანონის ნებისმიერ დარღვევაზე. კანონმა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პირებს (არამხოლოდ მათ დამკვირვებლებს/წარმომადგენლებს) არჩევნების დღეს საჩვირების შეტანის უფლება უნდა მისცეს.
35. თუ საჩვირებისა და განცხადებების განხილვისას გადაწყვეტილებას არ ერთვის ნებისმიერი საარჩევნო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი, ამან გავლენა არ უნდა იქონიოს მოწმეთა გამოძახებაზე ან კიდევ საჩვირის გადაწყვეტაზე.

36. ყურადღება უნდა მიექცეს პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა იურისტების ტრენინგს საარჩევნო კანონთან, დარღვევების გამოძიებასთან და სამხილების შეგროვებასთან, ასევე საჩივრების შეტანის პროცედურასთან და ეფექტური საჩივრების შედგენასთან და წარდგენასთან დაკავშირებით. კონკრეტული საარჩევნო დარღვევის თაობაზე მტკიცებულების შეგროვებით, კარგად დასაბუთებული საქმეების მოგროვებითა და მათი გადაწყვეტილების მიმღებ შესაბამის სტრუქტურებში ან სამართალდამცავ ორგანოში შეტანით, პოლიტიკური პარტიები საჩივრების პროცესს უფრო კარგად გამოიყენებდნენ.
37. სასარგებლო იქნება სამართალდამცავებისა და პროკურორების უწყვეტი ტრენინგი არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევათა გამოძიებისა და ბრალის დადების საკითხებში.
38. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არჩევნებთან დაკავშირებული და პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულის მიუკერძოებელი გამოძიების გამჭვირვალედ და მართებულად წარმართვას, ასევე ნებისმიერი ადრე ჩადენილი კანონდარღვევის გამოსწორებას და ნებისმიერი მომავალი კანონდარღვევის თავიდან აცილებას.

თ. ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

39. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმის მტკიცე ნაბაა ხელი შეუწყოს გენდერული საკითხების ძირითად მიმართულებად ქცევას. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გადაიდგას ეფექტური და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა კიდევ უფრო შეეწყოს ხელი ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით კი გაიზარდოს ქალთა, როგორც კანდიდატთა, წარმომადგენლობა პარლამენტში.
40. საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისას, ხელისუფლებამ უნდა გამართოს კონსულტაციები ეროვნულ უმცირესობებთან მათთან დაკავშირებულ საკითხებზე. იმისათვის, რომ ეროვნული უმცირესობები ეფექტურად იყვნენ წარმოდგენილი საარჩევნო ორგანოებში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ეფექტური მონაწილეობის შესახებ და OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო პრინციპები ეროვნული უმცირესობების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის თაობაზე (ვარშავის სახელმძღვანელო პრინციპები)
41. იმ ადგილებში, სადაც საარჩევნო მასალები ეროვნული უმცირესობების ენებზე რიგდება, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამომრჩეველთა სიები ამავე ენებზე ამომრჩეველთა მიერ სიებში თავის გადამოწმების პერიოდში. ეს მასალები ასევე უნდა გადაეცეს საუბნო საარჩევნო კომისიებს ქართულ ენაზე, რათა ყველა ამომრჩეველსა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრს ხელი მიუწვდებოდეს

მსგავს მასალებზე. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში საარჩევნო ბიულეტენები ორენოვანი უნდა იყოს.

ი. ადგილობრივი დამკვირვებლები

42. დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა, თუ თავდაპირველ სარეგისტრაციო განაცხადებში შეცდომების არსებობის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა მიეცემოდათ.
43. აკრედიტებული ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების მუშაობისთვის, ასევე მათ მიერ საჩივრების შეტანისთვის ხელის შეშლისთვის, საარჩევნო კანონი კონკრეტულ სანქციებს უნდა აწესებდეს.

დანართი: კენჭისყრის შედეგები

ჯამური რიცხვები	
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	3,465,736
კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა	1,850,407
ბათილი ბიულეტენები	56,077

ნომერი ბიულეტენზე	პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება	ხმათა რაოდენობა (პროპორციული კომპონენტი)	პროცენტუ ლობა (პროპორცი ული)	მიღებულ მანდატთა რაოდენობა		
				პროპორციული	მაჟორიტარი	სულ
1	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	8,231	0.46%	0	0	0
2	„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“	67,037	3.78%	0	2	2
3	„მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები“	16,440	0.93%	0	0	0
4	„შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	132,092	7.44%	6	0	6
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის“	1,050,237	59.18%	48	71	119
6	პ/გ „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“	3,308	0.19%	0	0	0
7	„გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)	314,668	17.73%	15	2	17
8	„სრულიად საქართველოს რადიკალ დემოკრატთა ნაციონალური პარტია“	3,180	0.18%	0	0	0
9	პ/გ „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“	15,839	0.89%	0	0	0
10	„გიორგი თარგამაძე-	153,634	8.66%	6	0	6

	ქრისტიან დემოკრატები					
11	„ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“	7,880	0.44%	0	0	0
12	საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“	2,101	0.12%	0	0	0

წყარო: ცესკო-ს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და ცესკო-ს ვებ-გვერდი
(<http://www.cec.gov.ge>)

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შესახებ

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი არის ეუთო-ს მთავარო ინსტიტუტი, რომლის დანიშნულებაა დაეხმაროს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ „უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული პატივისცემა, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერა და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, გაძლიერება და დაცვა ისევე, როგორც საზოგადოებაში ტოლერანტობის გავრცელება“. (ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი 1992 წ.). იგი მოიხსენიება, როგორც ეუთო-ს ადამიანური განზომილება.

OSCE/ODIHR-ი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) არის განთავსებული, 1990 წლის პარიზის სამიტზე შეიქმნა, როგორც თავისუფალი არჩევნების ოფისი. მან მუშაობა 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახულიყო ვრცელი მანდატი - ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაცია. დღეს მას 130-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს.

არჩევნებზე დაკვირვების სფეროში OSCE/ODIHR-ი ევროპის წამყვანი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად ის კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებელის განთავსებას, რათა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება ეუთო-ს სივრცეში გამართული არჩევნები ეუთო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ კანონმდებლობას. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის ღრმად შესწავლის საშუალებას იძლევა. დახმარების პროექტების მეშვეობით, OSCE/ODIHR-ი წევრ სახელმწიფოებს მათი საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება.

დემოკრატიზაციის სფეროში ოფისის საქმიანობა მოიცავს: კანონის უზენაესობას, საკანონმდებლო დახმარებას, დემოკრატიულ მმართველობას, მიგრაციას, გადაადგილების თავისუფლებასა და სქესთა თანასწორობას. OSCE/ODIHR-ი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივი დახმარების რამდენიმე პროგრამას, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული სტრუქტურების განვითარებას.

OSCE/ODIHR-ი ასევე ეხმარება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, რათა მათ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა წახალისება და დაცვა უზრუნველყონ ეუთო-ს ადამიანური განზომილების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად. ეს მიიღწევა სხვადასხვა პარტნიორთან მუშაობის შედეგად თანამშრომლობის განვითარებისა და თემატურ საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით ისეთ საკითხებში, როგორცაა ადამიანის უფლებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება ტრეფიკინგის მსხვერპლთან მიმართებაში, განათლება და ტრენინგი ადამიანის უფლებების სფეროში, ადამიანის უფლებების მონიტორინგი და ანგარიში, ასევე ქალთა უფლებები და უსაფრთხოება.

ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებთან მიმართებაში OSCE/ODIHR-ი დახმარებას უწევს წევრ სახელმწიფოებს რათა მათ გააძლიერონ თავიანთი რეაგირების მექანიზმები სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის წინააღმდეგ

და რასიზმის გამოვლინებების, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის სხვა ფორმების წინააღმდეგ. ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში OSCE/ODIHR-ის საქმიანობა შემდეგ სფეროებზეა კონცენტრირებული: კანონმდებლობა, ტრენინგი სამართალდამცავ სფეროში; მონიტორინგი, ანგარიში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება რეაგირება სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისა და შემთხვევების შესახებ. ასევე საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელთა მიზანია ტოლერანტობის ხელშეწყობა, პატივისცემა და ურთიერთგაგება.

OSCE/ODIHR-ი წევრ სახელმწიფოებს რჩევით ეხმარება რომასა და სინტისთან დაკავშირებული პოლიტიკის გატარებაში. ის ხელს უწყობს რომასა და სინტის თემებში შესაძლებლობების გაზრდასა და კავშირების განვითარებას და მხარს უჭერს მათი წარმომადგენლების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებში.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ეუთო-ს ორგანოებთან და ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით ხორციელდება.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ვებ-გვერდზე (www.osce.org/odihr).